

გამოცხადდა, ხოლო V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა სრულად გაათავისუფლა დასავლეთი საქართველო რომაელთაგან.

დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნიდან იწყება აფხაზეთის საკათოლიკოსოს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის შემადგენლობაშიც X საუკუნისათვის მთელი დასავლეთი საქართველო შედიოდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1814 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო უშუალოდ შეუერთდა რუსეთის ეკლესიას. ცაიშის სამწყსოც ეგზარქოსის დაქვემდებარებაში არსებული იმერეთ-ქუთაისის ეპარქიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

1917 წლის სექტემბერში ავტოკეფალიადგენილი საქართველოს საეკლესიო კრებაზე განახლდა 13 ეპარქია. ცაიშის ძველი სამღვდელმთავრო ტერიტორია ჭყონდიდის ეპარქიის შემადგენლობაში ითვლებოდა. 1995 წლის 5 აპრილს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე აღდგა 1823 წლიდან გაუქმებული ცაიშის საეპისკოპოსო კათედრა.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მწყემსმთავარია მაღალყოვლადუსამღვდელოები მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

26. ბოდბის ეპარქია

ბოდბის ეპარქია საქართველოს უკადურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქიზიუის, ძველი კამბეზოვანის მხარეში მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის ქალაქები – სინგალი, დედოფლისწყარო და მათი მიმდებარე ტერიტორიები. ბოდბის ეპარქიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნეკრესისა და ჰერეთის, გურჯაანისა და ველისციხის, დასავლეთიდან – საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიები, სამხრეთის და აღმოსავლეთის საზღვრები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს ემთხვევა.

ქართული საისტორიო ტრადიცია ბოდბის ეპარქიის დაფუძნებას V საუკუნით ათარიდებს. VI საუკუნის დასაწყისში, 506 წელს ბოდბელი მღვდელმთავარი

ლაზარე აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა. საქართველოს სამეფო კარზე, შემდეგ კახეთის დამოუკიდებელ სამთავროსა და სამეფოში ბოდბელი მღვდელმთავრის დაწინაურებულ მდგომარეობას ამ მხარეში ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს მოღვაწეობა და აღსასრული განაპირობებდა.

V–VI სს-ის მიჯნაზე ამ მხარეში ორი ეპარქია – ხორნაბუჯი და ბოდბე – იხსენიება. ახლომდებარე სამღვდელმთავრო კათედრათა ბუნებრივ საზღვრად ბოდბის ხევი არის მიჩნეული. კამბეზოვანის დასავლეთი მხარე ბოდბელის სამწყსოდ ითვლებოდა, აღმოსავლეთი – ხორნაბუჯელისა. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯი ჭერემსა და ნეკრესთან ერთად საუფლისწყლო მამულად გადასცათვის ძეს, დაბის. საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდში კახეთის მეფეებს ხშირად ბოდბელი ეპისკოპოსი აკურთხებდა. სამეფო გვირგვინი აქ დაიდგეს კახეთის მეფეებმა – გიორგი I (1466–76 წწ.), ალექსანდრე I (1476–1511 წწ.), ლევანდა (1518–74 წწ.), თეიმურაზ I (1606–16; 1625–48 წწ.) და სხვ. მეფის კურთხევის პატივით იგი გარკვეულწილად უთანაბარდებოდა ქართლის და იმერეთის კათოლიკოსებს, რომლებიც ასევე თავიანთი სამეფოების მეფეებს აკურთხებდნენ.

ბოდბელს კახეთის სამეფოში პირველი სადროშოს – ქიზიუის წინამდოღობა პქონდა მინდობილი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას საქართველო მომდლავრებული და დაწინაურებული ბოდბის ეპარქია რუსეთის მიერ დანიშნულ ეგზარქოსს დაუქვემდებარეს და კახეთის სხვა სამღვდელმთავროებთან ერთად, ერთ, კახეთალავერდის ეპარქიაში გააერთიანეს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე განახლებულად ჩაითვალა ბოდბის საეპისკოპოსოც. მისი მართვა დროებით შეთავსებული პქონდა ალავერდელ მღვდელმთავარს. 1925 წლის 22 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭოს

დადგენილებით, ალავერდის ეპარქიას გამოყო ბოდბის ეპარქია.

ბოდბის ეპარქიის მწევმსმოავარია ყოვლადუსამდვდელოესი ეპისკოპოსი დავითი (ტიკარიძე).

27. სამთავისისა და გორის ეპარქია

სამთავისისა და გორის ეპარქია შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, ისტორიულ ზენა სოფელში მდებარეობს. ეპარქია მოიცავს ძველ ქალაქებს – გორს, კასპასა და მათ მიმდებარე სანახებს. ეპარქიის ამჟამინდელ ტერიტორიაზე, „რეხულას ზეთ ღიდ ლიახვამდე“, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შემდეგ მცხეთის მთავარეპისკოპოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა, რომლის საკათედრო ტაძარი სამთავროს ღვთაების ეკლესია იყო. სამდვდელმთავროს, აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობის გამო, ქართლში არსებულ ეპარქიათა უმრავლესობა ესახლდვრება: აღმოსავლეთიდან – მცხეთა-თბილისის, წილარისა და დუშეთის, ჩრდილოეთიდან – ნიქოლისა და ცხინვალის, დასავლეთიდან – ურბნისისა და რუსის, ბორჯომისა და ბაკურიანის, სამხრეთიდან – მანგლისისა და წალკის ეპარქიები.

ამ მხარეში ქრისტეს ეკლესიის დაცუმნების ადრეული ეტაპის შესახებ ნასტარის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაცემები მიანიშნებს. აქ აღმოჩენილია II–III საუკუნეების პირველქრისტიანთა სადვთისმსახურო შენობა, რაც მოციქულთა მოდვაწეობის ხანას უკავშირდება. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეს კუთხე ერთ-ერთ უმთავრეს საქრისტიანო ცენტრად იქცა. იგი თავიდანვე მცხეთის საპატიოარქო საედრის იურისდიქციაში შედიოდა და მსხვილ საეპარქიო ერთეულად ადრიდანვე ჩამოყალიბდა.

საეკლესიო ტრადიცია სამთავისში ეპარქიის საკათედრო ტაძრის აგებას, წილარის, ერთაწმინდისა და მეტების ეკლესიებთან ერთად, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს მიაწერს.

დროთა განმავლობაში, მტერთაგან მრავალი შემოსევისა და სხვადასხვა მოზეზის გამო სამთავისის სამდვდელმთავრო კათედრა ნელ-ნელა დაემცრო. მე-19 საუკუნის დამდეგს იგი მხოლოდ 17 სოფელს მოიცავდა. 1803 წელს წილარის მთავარეპისკოპოსის, იოანე ქარუმიძის გარდაცვალების შემდეგ სამთავისის ეპარქიას წილარის ვრცელი სამწყსოც მიუერთეს. მალე წილარისა-სამთავისის განვრცობილი ტერიტორია ნიქოლოზი მდგვდელმთავრის დაქვემდებარებაში გადავიდა. მე-19 საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართლის ერთ სამდვდელმთავრო სამწყსოდ გაერთიანებული ეპარქიის შემადგენლობაში სამთავისიც შედიოდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეს მხარე ხან წილარის, ხანაც რუს-ურბნისისა და სხვა საეპისკოპოსოთა იურისდიქციაში შედიოდა. 1994 წელს რუს-ურბნის გამოეყო ქასპისა და გორის რაიონების ტერიტორია და სამთავისის და გორის ეპარქიის სახელწოდებით აღდგა ამ კუთხის უძველესი საეკლესიო სამწყსო.

სამთავისისა და გორის ეპარქიის მწევმსმთავარია ყოვლადუსამდვდელოესი ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა).

28. სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარეობს და მდინარეების – თრუსოს, თერგისა და სნოსწყლის აუზებს მოიცავს. ეპარქიის შემადგენლობაშია საქართველოს მთიანეთის პატარა ქალაქი სტეფანწმინდა (ყოფ. ყაზბეგი) და მისი მიმდებარე ისტორიული პროვინცია – ხევი, ადრინდელი შუა საუკუნეების წინარეთი. სამდვდელმთავრო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის, სამხრეთიდან – წილარისა და დუშეთის, დასავლეთიდან – ნიქოლისა და ცხინვალის ეპარქიები, ჩრდილოეთიდან – საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე

კი – ალანია – ჩრდ. ოსეთისა და ჩაჩნეთინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკები.

ქართულ წერილობით წყაროებში ტოპონიმი „ხევი წინარეთისა“ პირველად VI საუკუნის მოვლენების აღწერისას იხსენიება. მოგვიანებით სახელწოდება „წინარეთი“ ხმარებიდან თანდათან გამოვიდა და „ხევი“ დამკვიდრდა ამ მხარის საკუთარ სახელად. შესაბამისად, აქაურ მკვიდრთა სატომო სახელი „წინარები“ შეცვალა „მოხევები“.

ხევი ადრიდანვე, თავისი ადგილმდებარების გამო, უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა საქართველოს სამხედროსტრატეგიული და თავდაცვისუნარიანობის ერთიან სისტემაში.

ტრადიცია დარიალის ხეობაში პირველი სიმაგრის აშენებას იძერის მეფე მირიან I (ქრისტეს შობამდე II ს-ის I ნახევარი) უკავშირებს. ქრისტეს შობამდე I ს-ში იძერის მეფები რომის მძღვრი იმპერიასთან, პართიასთან და სომხეთთან ურთიერთობებს აღნიშნული სიმაგრის გახსნით და მომთაბარეთა გადმოშვებით არეგულირებდნენ. V ს-ში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა აღადგინა მჟღლი თავდაცვითი ნაგებობები და საქართველოს ჩრდილო კარიბჭე საიმედოდ ჩაკეტა.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა ამ გზით ჩამოიყენა (1118–1120 წწ.) საქართველოში ყივჩაყები და მანვე განაახლა აქაური სიმაგრეები. წმიდა მეფე თამარის დროს კიდევ უფრო მეტად გაიზარდა სამისიონერო მოღვაწეობა და ამ კუთხის გავლენით ქრისტიანობაზე მოექცენ ზახას, გუდას, თრუსოს და სხვა ხეობათა მცხოვრებნი. იმ ხანებში ხევის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩრდილოკავკასიელი ხალხების დამორჩილებასა და მათი გაჭრისტიანების საქმეში სერიოზულ სახელმწიფო იყო მიჩნეული.

ქვეყნის სახელმწიფო ეროვნული სიმბიოცის ერთ-ერთი მძღვრი დასაყრდენი მხარე, შიდა ქართლის ჩრდილოეთი კარიბჭე – ხევი, ადრიდანვე წილგნის ეპარქიის შემადგენლობაში ითვლებოდა. საეკლესიო ტრადიცია ამ მხარეს ანდრია მოციქულის საქართველოში მიმოსვლის ერთ მონაკვე-

თად მიიჩნევს. ხევის მოქცევა კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელი ტომების გაქრისტიანებას უკავშირდება და წმიდა მეფე მირიანის ძეს – ბაქარს მიეწერება.

ქვეყნის საერთო გაჭირვების მიუხედავად, XVIII–XIX საუკუნეებით მიჯნაზე, საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებამდე, ქართლის ეპარქიათა შორის წილგანი ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ და განვითარებილ სამღვდელმთავროდ ითვლებოდა. შესაბამისად, ხევის ეკლესიამონასტრებში მოღვაწე ღვთისმსახურები აქტიურ ქრისტიანულ-სამისიონერო საქმიანობას ეწევოდნენ კავკასიის მთიელ ტომებში. თანამედროვე სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ტერიტორიაზე ადრიდანვე მრავალ თავდადებულ მამულიშვილსა და ეკლესიის გამოჩენილ პირს უმოღვაწია. მრავალთაგან აღსანიშნავია დირსი იოსებ ხუცესი (მოხევე) სასწაულმოქმედი; XVIII საუკუნეში ინგუშეთსა და ოსეთში რუსეთის სამისიონერო საქმიანობის ერთ-ერთი ინიციატორი იოსებ ქვაბულისძე (1676–1750 წწ.) სამებელი და წილკნელი; იოანე წილკნელი, 1762–1802 წწ. (ქარუმიძე). მან ერებლე II ბრძანებით დაიწყო მისიონერობა და თს ყმაწვილებს ასწავლიდა „წიგნსა, წერასა და მეცნიერებასა“, რადგან ძალზე დიდი ყოფილა „ნაკლებობა სამღვდელოთა კავკასიისა მთასა შინა“, ხევსა და ჩრდილო კავკასიის ქრისტიანულ თემებში. იმ პერიოდში განსაკუთრებით სახელგანთქმული მისიონერი იყო გერვასი მაჭავარიანი, წილკნელ-სამთავრებელი (1803–1817 წწ.) ეპისკოპოსი და სხვანი.

საქართველოს რუსეთთან იძულებითი შეერთებით ქვეყანამ ჯერ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შემდეგ კი ეკლესიის ავტოკეფალია დაკარგა. საქართველოს კენცარიზმის ამგვარ კოლონიურ-დამპურობლურ პოლიტიკას წინ აღუდგა თავისუფლებისმოყვარე მოხევეთა თემი და 1804 წლის მთიულებითს აჯანებისას ერთ და ბერი აქტიურად იბრძოდა მათთვის უცხო და მიუღებელი წესწყობილების წინაღმდეგ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და ქართულ სამღვდელმთავროთა იძულებითი გაუქმების მიუხედავად, ხევში

აქტიური ქრისტიანული ცხოვრება ჩქეფ-და. აქედან კვლავ მიემართებოდნენ მი-სიონერები კავკასიის მთიელი ტომების გაქრისტიანებისა და რწმენაში განმტკიცების მიზნით.

1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას თავის ძელ საზღვრებში განახლდა წილკის უძველესი სამდგდელმთავროც. 20-იანი წლებიდან დაწყებული რეპრესიების გამო, ხევის თემში არსებულ ეკლესია-მონასტრებში ფაქტობრივად აკრძალული იყო წირვა-ლოცვის აღსრულება. საბჭოური მმართველობის მხრიდან დიდი ზეწოლის მიუხედავად, ამ წლებშიც არ ჩამკვდარა ხევის ღვთისმოსავ ქრისტიანთა დაუცხრომელი ლოცვა-ველობა უფლისადმი ეკლესიის განმტკიცებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამ მხარეში ღრმა სულიერებით გამორჩეულ ოჯახთაგან უპირველესად ხევის ცნობილი პიროვნების, შიოლა ღუდუშაურის შთამომავლის, გიორგი ღუდუშაურის და ნატალია ქობაიძის სტუმართმოყვარე და ღვთისმოსავი ოჯახი გამოირჩეოდა. ამ ოჯახში აღიზარდა საქართველოს ეკლესიის მომავალი მწყემსმთავარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II შიოლაშვილი-ღუდუშაური, რომელმაც თავისი მდგდელმთავრული მოდგაწეობა ეკლესიისთვის ურთულეს პერიოდში დაიწყო. მრავალი სირთულის მიუხედავად, ღვთის განგებით, სწორედ მისი უწმიდესობის სახელს უკავშირდება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიის აღორძინება და მსოფლიო ეკლესიის მიერ მისი ავტოკეფალიის განმეორებითი დადასტურება-აღიარება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II ლოცვა-კურთხევით თავის მშობლიურ კუთხეში, ისტორიულად საქართველოს ჩრდილო კარიბჭის საიმედო დამცველ ხევის თემში, 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით დაფუძნდა ეპარქია. ახლად დაარსებული სტეფანწმინდისა და ხევის სამდგდელმთავრო სამწესო ტერიტო-

რიულად განვრცობილი წილკის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მწყემსმთავარია ყოვლადუსამდგდელოესი ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე).

29. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია

ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი, ისტორიული კუთხეების – ლენტეუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიას მოიცავს. მის შემადგენლობაში შედის მთიანი საქართველოს ორი პატარა ქალაქი: ლენტეხი და ცაგერი. დროის მდინარეების შესაბამისად, ისტორიულ კუთხეთა – ლენტეუმის და სვანეთის ტერიტორია იზრდებოდა ან მცირდებოდა. ლენტეუმის დიდი ნაწილი სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა. მათ შორის ბუნებრივ გამყოფად ლენტეუმის ქედი ითვლებოდა.

ცაგერისა და ლენტეხის სამდგდელმთავრო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ნიკორწმინდის ეპარქია ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთიდან – სენაკისა და ჩხოროწყუს, ჭყონდიდის, სამხრეთიდან – ქუთაის-გაენათის და ხონი-სამგრედიის, ჩრდილოეთიდან – მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიები, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – კავკასიონის ცენტრალური ქედი.

წერილობით წყაროებში სვანეთისა და ლენტეუმის მოხსენიება ადრეული დროიდან იწყება. სვანეთი – სუსანიის-სუანიის-სუების, სუანეთის, მისიმინეთის სახელით იყო ცნობილი. ლენტეუმს სკვიმნიის სახელით პირველად VI ს-ში პროკოპი კესარიელი ასახელებს. ამ კუთხეებს ბერძნულის გარდა რომაული და სომხური წერილობითი წყაროებიც იხსენიებს.

ვახტანგ გორგასლის დროს, V საუკუნეში, ეს კუთხეები მეფის საერისთავოებს წარმოადგენდა.

ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროების უწმებით, წმიდა მოციქულებს საქართველოს ამ რეგიონშიც უქადაგიათ და პირველი ქრისტიანული თემიც დაუფუძნებიათ. ეს მხარე იმითაც არის გამორჩეული, რომ ეკლესიის დიდმა მნათობმა,

წმიდა მაქსიმე აღმსარებელმა ცხოვრების ბოლო წლები აქ, ლენტუმში გაატარა.

ბუნებრივი ზღუდეებით ადრიდანვე გამაგრებული მთის ეს რეგიონი მტრის შემოსევისას საქართველოს ბარიდან ატანილ საეკლესიო სიწმიდეთა საცავად ითვლებოდა. საეკლესიო განძსაცავს ლენტუმში ხვამლის მთა, ხოლო სვანეთში მთის მიუვალი სოფლები წარმოადგენდნენ. ქრონოლოგიურად ამ მხარეში მიკვდეულ უძველეს საეკლესიო წიგნად ლენტუმის სოფელ ლაილაშის ხანმეტური პალიმფსები სახელდება. ეპარქიის ეკლესია-მონასტრები არა მარტო ბარიდან ატანილ საეკლესიო სიწმიდეთა საცავად ითვლებოდა, არამედ იქ არსებობდა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო პულტურის კერძები. ეს მხარე ძველი დროიდანვე ცნობილი იყო საეკლესიო ხელსაჭმის სკოლებით.

ეპარქიის აღორძინება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დაიწყო. 1917 წლის სექტემბრის საეკლესიო კრებაზე განახლებულ 13 ეპარქიას შორის ცაგერისა და ლენტუმ-სვანეთის ეპარქიაც სახელდება. სამდვდელმთავრო სამწეო ზემო და ქვემო სვანეთს აერთიანებდა. XX ს-ის 20-იან წლებში დაწყებული რეპრესიების დროს ეპარქიის აღდგენის მიუხედავად, ცაგერისა და სვანეთის ეპარქიას 70 წლის განმავლობაში საკუთარი მდგრელმთავრი თითქმის არ ჰყოლია. სამწეოს მართვა შეთავსებით ქუთათელ-გაენათელ მწყემსმთავრს ევალებოდა. 2002 წლის 17 ოქტომბრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით ცაგერისა და სვანეთის ეპარქიის განვრცობილი ტერიტორიის საფუძველზე ორი სამდვდელმთავრო სამწეო ჩამოყალიბდა: ცაგერისა და ქვემო სვანეთის და მესტიისა და ზემო სვანეთის.

ცაგერისა და ლენტების ეპარქიის მწყემსმთავრია ყოვლადუსამდვდელები ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი).

30. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდი-

ლოეთში, ისტორიული სვანეთის სამთავროსა და ბალსხემო სვანეთში, იგივე თავისუფალ სვანეთში მდებარეობს. ეპარქია კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს შეფენილ მესტიის რაიონსა (ყოფილი სეტი) და მის შემოგარენს – ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს, აგრეთვე კოდორის ზემო წელის აუზს, ეწ. აფხაზეთის სვანეთს მოიცავს. სამდვდელმთავრო ტერიტორიას აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ცაგერისა და ქვემო სვანეთის (ლენტების) ეპარქია, დასავლეთით – ცხეუმ-აფხაზეთის, სამხრეთით – ზუგდიდ-ცაიშის და სენაკისა და ჩხორწყუს ეპარქიები, ჩრდილოეთი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთია, რომელიც ეპარქიის ტერიტორიას მიჯნავს ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და ყარაბაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქთან. ისტორიულად სვანეთის შემადგენლობაში საზღვრის გადაღმა, ჩრდილო კავკასიის მდინარეების – ყუბანისა და ბაქსანის სათავის ხეობებში მდებარე საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაც შედიოდა.

წერილობით წეროთა უწყებით, წმიდა მოციქულებს – ანდრია პირველწოდებულს, სკიმონ კანანელსა და მატათას ამ მხარეშიც უმოღვაწიათ. სვანების მოქცევისა და პირველი ეკლესიის დაფუძნების შემდეგ მატათა ამ მხარეში დარჩენილა და დვორის სიტყვას განავრცობდა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად, ეს კუთხეც ქრისტიანდება, თუმცა ადრეულ სანაში მისი საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ ძალზე მცირე ცნობები არსებობს. ზემო სვანეთის, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილის მმართველ მდვდელმთავრად ძირითადად ცაიშელი ეპისკოპოსი ითვლებოდა.

XIX ს-ის დასაწყისიდან რესევითის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობრივი გაუქმების გამო სვანეთში ცარიზმის პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობა დიდხანს გრძელდებოდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განახლებული ცაგერისა და ლენტუმ-სვა-

ნეთის ეპარქია მოიცავდა მესტიასა და ზემო სვანეთსაც. ოციან წლებში დაწყებული საეკლესიო რეპრესიების გამო ამ მხარეში მდგდელმსახურება ფაქტობრივად არ აღსრულებოდა, ოუმცა საბჭოური მმართველობის მიუხედავად, ზემო სვანეთი სანიმუშო ერთგულებით დაიცვა ძველი ეკლესია-მონასტრები და იქ არსებული სიწმიდეები.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის წმიდა სინოდის განჩინებით ცაგერისა და ლეჩეუმ-სვანეთის ტერიტორიულად განვრცობილი ეპარქიის საფუძველზე ორი სამდგდელმთავრო სამწყსო ჩამოყალიბდა: ა) ცაგერისა და ქვემო სვანეთისა (ლეჩების); ბ) მესტიისა და ზემო სვანეთისა.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მწერებმთავარია ყოვლადუსამდგდელოესი ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი).

31. საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში, გარე კახეთში, მდინარე ივრის აუზში – გომბორის ქადის სამხრეთ-დასავლეთ კალთის მთისწინეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი მოიცავს ქალაქ საგარეჯოსა და მის შემოგარენს. ეპარქიას აღნიშნული სახელწოდება 2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებული წმიდა სინოდის კრებაზე ეწოდა. 1995 წლის 5 აპრილიდან იგი საგარეჯოსა და გურჯაანის საერთო სახელწოდებით არსებულ სამდგდელმთავროს მიეკუთვნებოდა, რომლის სამწყსო ტერიტორიის გაყოფის შემდეგ ჩამოყალიბდა. სამდგდელმთავროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბოდის და გურჯაან-ეკლისციების, დასავლეთიდან – რუსთავ-მარნეულის და მცხეთა-თბილისის, ჩრდილოეთიდან – ალავერდის და თიანეთ-ფშავებეგსურეთის ეპარქიები, სამხრეთის მიჯნა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა.

საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიის ტერიტორია ისტორიული კახეთის სამეფოს მესამე სადროშოს მიეკუთვნებოდა. ამ

რეგიონში საქართველოს გაქრისტიანების ახლო ხანებიდან რამდენიმე მსხვილი სამდგდელმთავრო კათედრა არსებობდა, რომელთაც დასაბამი წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამ დაუდო. ვახტანგის მიერ დაფუძნებულ ქართლის საკათოლიკოსოში თორმეტი ახალი საეპისკოპოსო კათედრიდან თრი – ნინოწმინდისა და ჭერემის თანამედროვე საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მოგვიანებით ამ მხარეში სამებელის, კაწარელისა და მარტყოფელის კათედრებიც მოიხსენიებოდა. ამდენად, ისტორიული კახეთის სამეფოში არსებულ ეპარქიათა უმრავლესობა თანამედროვე საგარეჯოს და ნინოწმინდის სამდგდელმთავრო ტერიტორიაზე მდებარეობდა. აღნიშნული სამდგდელმთავრო კათედრები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებობდნენ. მათგან ყველაზე ადრეულად ვახტანგის მიერ დაარსებული ეპარქიები ითვლება.

ნინოწმინდის საეპისკოპოსოს კათედრა – „უჯარმის კარი“ – მეფის სასახლის კარის ეკლესია იყო, რომლის მწერებმთავარი VI საუკუნის დასაწყისში დგინდის საეკლესიო კრებაზეც მოიხსენიებოდა.

უმძიმესი ისტორიული წარსულის მიუხედავად, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის სამწყსო ტერიტორიაზე აღრიდანვე ერთიანი ქრისტიანული საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკლესია-მონასტრები და საგანმანათლებლო კერები არსებობდა: გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის ზოგიერთი სავანე (ქალაქისთვის საც სახელი „საგარეჯო“ მისთვის აქაური მიწების შეწირვის გამო უწოდებიათ. „მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო), ბოჭორმა (X–XI სს-ის ტაძარი), ნინოწმინდა (VI ს-ის საკათედრო ტაძარი), კაწარეთი (VI–VII სს-ის ტაძარი), ხაშმი, უჯარმა (V ს.), ჭერემი და სხვ. ოდითგანვე აღნიშნულ ეკლესია-მონასტრებში და მთელ მხარეში დიდ საგანმანათლებლო, კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდნენ აქ მოღვაწე სასულიერო და საერო პირები.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის,

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, რეგიონში არსებულ ეპარქიათაგან ნინოწმინდებულის კათედრა ტრადიციულად კვლავ განვრცობილ და მდიდარ ეპარქიად ითვლებოდა.

2003 წლის 18 აგვისტოს, ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრების განჩინებით, საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის სამწყსო ტერიტორიის გადანაწილების შემდეგ ჩამოყალიბდა გურჯაან-ველისციხის და საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიები.

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის მწევმსმთავარია ყოვლადუსამდვდელოესი ეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე).

32. ბოლნისის ეპარქია

ბოლნისის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი საქართველოს უძველეს ქალაქს – ბოლნისს და მის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რუსთავისა და მარნეულის, დასავლეთიდან – დმანისის, ჩრდილოეთიდან – მანგლისისა და წალკის ეპარქიები, ხოლო სამხრეთი საზღვარი საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა.

ეს ვრცელი მხარე ბუნებრივად არის შემოსაზღვრული ორიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებით. ისტორიული ვითარების შესაბამისად, ქვემო ქართლის ადმინისტრაციული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. მისი ცვალებადობა საქართველოს სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს შეესაბამებოდა. ძველ წყაროებში შემონახულია ამ მხარის სხვადასხვა სახელწოდება, რომელთაგან ზოგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნებაა, ზოგი ეთნიკურ-გოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თუ სხვა.

უძველესი და უმდიდრესი წარსულის მქონე მხარეში ეკლესია IV საუკუნეში დაფუძნდა. „მოქცევად ქართლისაას“ თანახმად, ბოლნისის ცნობილი ტაძარი IV სის ბოლო წლებში აუგია ელია მთავარეპ-

ისკოპოსს. ბოლნისის სამდვდელმთავრო ტერიტორია ძალიან მდიდარია V-XVIII საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებით.

ამ კუთხით აღმინავე ფართოდ იყო გაშლილი მწიგნობრული საქმიანობაც. მრავალთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი მწერალი და მქადაგებელი იოანე ბოლნელი.

1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის მიუხედავად, მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული წარსულის ეპარქიაში ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების გამოცველება ძალზე ნელა, მხოლოდ 70-80-იან წლებში დაიწყო. ძველი ბოლნისის ეპარქია აგარაკ-წალკის საერთო სახელწოდებით არსებულ ქვემო ქართლის ეპარქიაში იყო გაერთიანებული. ბოლნისის ცალკე ეპარქიად გამოყოფა სრულიად საქართველოს კაონიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-ქურთხევით 1995 წელს აღსრულდა. იმ დროიდან მას ბოლნისისა და დმანისის ეპარქია ეწოდა. 2003 წლის 18 აგვისტოს, ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრებაზე ბოლნისის და დმანისის ეპარქია გაიყო და მის საფუძველზე ორი სამდვდელმთავრო ჩამოყალიბდა: ბოლნისის ეპარქია და დმანისის ეპარქია.

ბოლნისის ეპარქიის მწევმსმთავარია ყოვლადუსამდვდელოესი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე).

33. დმანისის ეპარქია

დმანისის ეპარქია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ეწ. „ქვენა სოფელში“, მდინარეების – მაშავერისა და ხრამის აუზში მდებარეობს. იგი ქართლის განაპირობარება და მის მიმდებარე სანახებს მოიცავს. დმანისის სამდვდელმთავრო სამწყსოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბოლნისის, დასავლეთიდან – ახალქალაქისა და კუმურდოს, ჩრდილოეთიდან – მანგლისისა და წალკის ეპარქიები, სამხრეთი საზღვარი საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა.

ეპარქიის ტერიტორიაზე ბოლო დროის არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილია პირველყოფილ ადამიანთა უძველესი ნაკვალევი, რაც დმანისს მსოფლიო ცივილიზაციის საწყისებთან აკავშირებს.

დმანისი იყო ძირძველ ქართულ პროვინციათა – ტაშირისა და დმანისხევის – ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურულ-საეპარქიო ცენტრი. წყაროებში დმანელი გვისკოპოსი VI ს-იდან გახვდება, ეპარქიის შექმნა კი წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების ახლო ხანებშია საფარაულო. დმანელის სამწყსოდ თავიდანვე ითვლებოდა: а) დმანისხევი, რომელიც ვრცელდებოდა „ეპრადაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ“ და ბ) ტაშირის – „ლორეს ზეით და ლოქის სამჭრით, ვიდრე დებუდამდე და არჯანის მთამდე“ – მოსახლეობა, რადგან ესენი „სამწყსონი არიან დბანისის“-ო (ვახუშტი).

დმანისის ეპარქია ეპლესია-მონასტრების სიმრავლის გარდა, აღრიდანვე გამორჩეული იყო აქ დავანებული სახელმოქმედი ხატებისა და წმიდათა წმიდა ნაწილების მრავალრიცხოვნებით. დმანისის ყოვლადწმიდა დვოისმშობლის ხატიდან აღსრულებულ დვთაებრივ სახელმოთა შესახებ „ქართლის ცხოვრებაც“ გვაუწყებს.

ცნობილია, რომ დმანისშია საძვალე წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულის ძის, მეფე ვახტანგ III (1297; 1302-1308 წწ.).

XIX საუკუნისთვის გაპარტახებული მხარე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყობის და ჩვენთვის უცხო მმართველობით-ადმინისტრაციული სისტემის შემოვლების შემდეგ, თბილისის გუბერნიას მიაკუთვნეს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ თანამედროვე დმანისის ეპარქიის სამწყსო ტერიტორია აგარაკ-წალკის სამღვდელმთავროს მიეკუთვნებოდა. 1995 წელს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით აგარაკ-წალკას გამოყოფილი ბოლნისისა და დმანისის ეპარქია, რო-

მელიც აღნიშნულ ორ მეზობელ რაიონს აერთიანებდა. ეპარქიის მღვდელმთავრად დადგენილი იყო მთავარეპისკოპოსი თადევით იორამაშვილი. 2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სადღესასწაულო კრებაზე, ბოლნისისა და დმანისის სამღვდელმთავრო ტერიტორიის საფუძველზე ითვლიანი ეპარქია ჩამოყალიბდა – ბოლნისისა და დმანისის, როთაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა ორი უძველესი და დამოუკიდებელი სამღვდელმთავროს მემკვიდრეობის განახლების თვალსაზრისით.

დმანისის ეპარქიის მწევმსმთავარია ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).

34. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია

გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში, ცენტრალური კახეთის ტერიტორიაზე, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთისწინეთისა და მდინარე ალაზნის აუზში მდებარეობს. სამღვდელმთავროს იურისდიქცია გურჯაანის რაიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნეკრესისა და ჰერეთის, დასავლეთიდან – საგარეჯოსა და ნინოწმინდის, ჩრდილოეთიდან – აღავერდის, სამხრეთიდან – ბოლბის ეპარქიები.

ეპარქიის ტერიტორია ისტორიულ ჰერეთს მიეკუთვნებოდა, დღეისათვის კი კახეთის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს და მისი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთიანი კახეთის წარსულთან. XI ს-ის დასაწყისში კახეთის მეფემ, კვირიკე III, ჰერეთის სამეფო შემოიერთა და გაერთიანებული „კახეთის სამეფო“ შვიდ საერისთავოდ დაყო, რის შემდეგაც ეპარქიის ტერიტორია ალაზნის მარჯვენა მხარის, შიგნი-კახეთის ცენტრალურ საერისთავოს მიაკუთვნა. XI-XII სს-თა მიჯნაზე წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანების შედეგად კახეთის ყოფილი სამეფო ერთიან ქართულ ადმინისტრაცი-

ულ სისტემაში მოაქცია. მოგვიანებით, XV ს-იდან საქართველო სამეფოებად დაიშალა. ოთხ სადროშოდ დანაწილებულ კახეთის სამეფოში, რიგით მეორე, – ნეკრესის სადროშოს მიეკუთვნებოდა გურჯაან-ველისციის ტერიტორია; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეპარქიო ადმინისტრირებით კი – უძველეს ჭერემის სამდვდელმთავროს.

ჭერემის ეპარქია V ს-ში წმიდა მეფე გახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ თორმეტ სამდვდელმთავროს შორის ის-სენიება. ჭერემის ეპარქია თანამედროვე გურჯაანისა და ველისციის ეპარქიის ტერიტორიას მოიცავდა. ჭერემის სამდვდელმთავრო კათედრა XVIII ს-მდე ინარჩუნებდა ამ მხარის (მთლიანად ან ნაწილობრივ) საეპარქიო მართვის უფლებას. ოდონდ XI ს-იდან, ალავერდის სამდვდელმთავროს დაწინაურების შემდეგ ჭერემის ეპარქიის ტერიტორიები მცირდება, ჭერემელის ტრადიციულ ავტორიტეტს კი ალავერდელი ჩაენაცვლა. XVIII ს-ის შუასანებიდან მეფე თეიმურაზისა და მეფე ერეკლეს ძალისხმევით კახეთი ნელ-ნელა აღორძინების გზას დადგა – სამეფო კარმა სამდვდელმთავროთა გაძლიერებისათვის კუთვნილი ყმა-მამულების მოძიება და უკან დაბრუნება განაჩინა. 1757 წელს შედგენილი საკანონმდებლო აქტი: „განწევება თეიმურაზ II-ისა საჭერემლო სამწყსოს მიბარების შესახებ“ ჭერემის ეპარქიის ტერიტორიის მეზობელ სამდვდელმთავროთა – ალავერდის, ბოლბისა და ნინოწმინდას – შორის დროებით გადანაწილებას განაჩინებს. თუ მოიწიოს ჟამი და „ინებოს მეუფემან ჩვენმან ქრისტემან მას ეკლესიასა შინა თვისესა ეპისკოპოსესა დადგრომა“, ყოველგვარი დაპირისპირების და სიტყვისგების გარეშე „თვისი მამული და სამწყსო და რაცა მისი სარგო და შემოსავალი იყოს, ყოველივე მის ეპლესისა და ეპისკოპოსესა მიეცეს უკლებად და უცილებელად და უსიტყველად“. ქართლის და კახეთის მეფეთა – თეიმურაზ II და ერეკლე II ბრძანება და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის იოსების ლოცვა-კურთხევა

ორსაუკუნენახევრის შემდეგ, 2003 წლის 18 აგვისტოს, გურჯაანისა და ველისციის ეპარქიის ადგენიო ადსრულდა.

გურჯაანის და ველისციის ეპარქიის მწევმთავარია ყოველადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ექვთიმე (ლევავა).

35. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ისტორიული კოლხეთის სამეფოში, მდინარე რიონსა და ეგრისწყალს შორის არსებულ ტერიტორიაზე – ოდიშის დაბლობზე მდებარეობს. იგი მოიცავს სამეგრელოს ქალაქებს – სენაკს, ჩხოროწყუს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. სენაკისა და ჩხოროწყუს სამდვდელმთავროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჭყონდიდის, დასავლეთიდან – ზუგდიდისა და ცაიშის, ფოთისა და ხობის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ცაგერისა და ლენტების, ჩრდილო-დასავლეთიდან – მესტიისა და ზემო სვანეთის, სამხრეთიდან – შემოქმედის ეპარქიები.

მოციქულთა ქადაგებით მოქცეული ამ კუთხის მოსახლეობა, საბოლოოდ, IV ს-ში, საქართველოში ქრისტიანობის სახლმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქრისტიანდება. გაძრისტიანების მიუხედავად, ერთმორწმუნე ბერძენთა აგრძელების მიმართულებით კიდევ უფრო გამოიკვეთა. VI ს-ში ეს მხარე ბერძენსაპარესელთა საომარი დაპირისპირების ასპარეზად იქცა და ეს პერიოდი „დიდი ომიანობის“ სახელით არის შესული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იმუამინდელი ეგრისის უპირველესი ქალაქის – ციხე-გოჯის დაცვისთვის აქაურებს დიდი გმირობა გამოუჩენიათ და 551 წელს უკუგდიათ ირანელთა ლაშქარი. VII ს-ის პირველ მესამედში ბერძენთა კეისარმა პერაკლემ (610–641) ზღვისპირეთი საქართველოს ჩამოაშორა, ხოლო VII–VIII სს-ის მიჯნაზე არაბთა შემოსევებისას მტრისგან გაპარტახებული ეგრისის სამეფოც და მისი დედაქალაქიც დროებით მათ ხელში გადავიდა.

ბერძნულ წყაროთა მიხედვით, პერ-

აკლეს შემოსევებისას ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამღვდელმთავროების იურისდიქციაში იყო მოქცეული მთელი ზღვისპირეთი. კონსტანტინოპოლის პოლიტიკური და საეკლესიო გავლენისაგან განთავისუფლება VIII სიდან დაიწყო. მალე, აფხაზეთის საკათოლიკოსო ჩამოყალიბების შემდეგ, მთელ დასავლეთ საქართველოში მისი იურისდიქცია გავრცელდა, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ძალმომრეობით დაფუძნებული ბერძნული სამღვდელმთავროები ქართულით შეიცვალა.

თანამედროვე სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ტერიტორიის იმქამინდელი მოსახლეობა ცაიშის და ჭყონდიდის ეპარქიების შემადგენლობაში ითვლებოდა.

საქართველოს ეპლესის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეს მხარე 1823 წელს ჩამოყალიბებულ სამეგრელოს ეპარქიაში იყო გაერთიანებული. 1874 წლის მაისის ოვეში რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით გაუქმებული სამეგრელოს ეპარქია იმერეთის ეპარქიას მიუერთეს, ხოლო 1885 წლიდან შექმნილი გურია-სამეგრელოს ეპარქია სენაკისა და ჩხოროწყუს ტერიტორიებსაც აერთიანებდა.

1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგნის შემდეგ განახლდა ჭყონდიდის ეპარქია, რომელიც მთლიანად მოიცავდა სამეგრელოს ტერიტორიას. 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ჭყონდიდის ეპარქიის საფუძველზე, მისი ტერიტორიული გაყოფის შედეგად, აღდგა ძველი სამღვდელმთავროები: ზუგდიდისა და ცაიშის, ფოთისა და სენაკის და საკუთრივ ჭყონდიდის. 2003 წლის 18 აგვისტოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრების განჩინებით, ჭყონდიდის და ფოთი-სენაკის ეპარქიათა ხელახლი ტერიტორიული გადანაწილების საფუძველზე ჩამოყალიბდა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია.

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მწყემსმთავარია ყოვლადუსამღვდელოების გაისკოპოს შიო (მუჯირი).

36. სხალთის ეპარქია

სხალთის ეპარქია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიან მხარეს – ზემო აჭარას მოიცავს. აღნიშნული სახელწოდებით ეპარქია 2006 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრების განჩინებით შეიქმნა, – ბათუმისა და სხალთის ეპარქიის განვრცობილი ტერიტორიის გადანაწილების საფუძველზე. ეპარქიის შემადგენლობაში შედის ქალაქები ქედა, შუახევი და ხულო თავიანთი მიმდებარე ტერიტორიებით.

სხალთის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია, დასავლეთიდან – ბათუმისა და ქობულეთის, ჩრდილოეთიდან – შემოქმედის ეპარქიები, სამხრეთის მხრიდან ეპარქიის საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს და გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქვედებს.

სხალთის ეპარქიის მომცველი ტერიტორია ისტორიულ-გეოგრაფიულად ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა. ეს მხარე აჭარისწყლის ხეობას მოიცავს ჭოროხის შესართავამდე და ისტორიულ წყაროებში „აჭარის ქვეყნის“, ხანაც „აჭარის ხევის“ სახელით არის მოხსენიებული. აჭარის ხევი ორ ძირითად ნაწილად – ზემო აჭარად ანუ ზეგნად და ქვემო აჭარად იყოფოდა. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ერქვა. ზემო აჭარის ცენტრი იყო ძველად დიდაჭარა, შუასაუკუნეებში – ხისანი, მოგვიანებით – ხულო, ქვემო აჭარისა – სოფ. ქედა. ამდენად, ისტორიული ზემო, ქვემო და ცენტრალური აჭარის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრები – შუახევი, ხულო და ქედა, რომელთაც ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში განუზომელი ფუნქცია შეასრულებს, თანამედროვე სხალთის ეპარქიის იურისდიქციაში არიან გაერთიანებულნი. ეს კუთხე, ლეონტი მროველის ცნობით, ქვ. წ. III ს-ის II ნახევარში ქართლის სამეფოს ოძრების საერისთავოში შედიოდა.

მომდევნო სანაშიც იგი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები და წმიდა საეკლესიო ტრადიცია საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებას აჭარის გავლით შემოსულ წმიდა ანდრია პირველწოდებულს და მის თანმხლებ მოციქულებს უკავშირებს. იგი პირველი შემოსვლისას ოძრხე-ტაო-კლარჯეთის გზით შემოსულა, რომელიც, თავის მხრივ, ტრაპეზუნტსაც უერთდებოდა, ხოლო შემდგომი შემოსვლისას მას ტაოს გზით უსარგებლია. „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ანდრიას შემოსვლას უკავშირებს საქართველოში პირველი ეკლესიების მშენებლობას. მას ტრაპეზუნტიდან ქართლის ქვეყანაში – დიდაჭარისკენ აუღია გეზი. ღვთის სიტყვის ქადაგებისას მრავალი განსაცდელი დაუთმენია. იმ აღგილას, სადაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, წყაროსთვალი წარმოჩენილა და თავანკარა წყარო ამოსულა. მის გარშემო შემოკრებილი ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა მოციქულს ქრისტეს სახელით გაუნათლია. პირველი ეკლესიაც, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე, აქვე აუშენებიათ, სადაც ღვთისმშობლის ხატი იყო დასვენებული. ამის შემდეგ მოციქულს მთა გადაუვლია, ამ გზაზე თვითონ ანდრიას აღუმართავს რეინის ჯვარი, ამის გამო მთას დღემდე „რეინის ჯვარი“ ეწოდება, ოძრახის ხევი ჩაუვლია და სამცხის საზღვართან, სოფ. ზადენ-გორაში დაუვანებია, შემდეგ კი სოსანგეთში (დღევანდელი აწყური) მისულა. აქაც დიდი სასწაულის აღსრულების (გარდაცვლილი ბავშვის აღდგენა) შემდეგ ქრისტეს რწმენაზე მოქცეულა მოსახლეობა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი სასწაულმოქმედი ხატი უკვე გაქრისტიანებულ იქაურ მკვიდრთა თხოვნით დაუტოვებია აწყურში, იმჟამად აშენებულ მცირე ეკვდერში, რომელსაც ახლა „ძველი ეკლესია“ ეწოდება.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV ს-ში თანამედროვე სხალთის ეპარქიის ტერიტორია ერთიანდება მეზობელი შავშეთის მხარეში, „ტბეთის პირისპირ,

ჩრდილოთ კერძ, მდინარის გაღმა“ არსებულ თუხარელის სამწყსოში, რომლის ეკლესია „მეცემან მირდატ (მირდატ V ბაქარის ძე, 364–379 წწ.) აღაშენა ციხესა (თუხარისის ციხე) შინა“ (ვახუშტი). V სის 60-იანი წლებიდან ამ მხარეზე წმიდა ვახტანგ გორგასლის მიერ კლარჯეთში დაარსებული და გამლიერებული ახიზის ეპარქიის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

დროთა განმავლობაში აჭარის ხეობაზე მეზობელ სამდგლელმთავროთა უფლებივი მონაცემების ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

XVI ს-ის 70-იან წლებში აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს და იგი ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთს მიუერთეს. თურქთაგან შევიწროებული აქაური მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა მხარეს შეეხიზნა, მამაპაპეულ ადგილებზე დარჩენის მსურველთ ქრისტიანობა უნდა უარესოთ და მამადიანობა მიეღოთ. საუკუნეთა განმავლობაში მრავალი განსაცდელის მიუხდავად, აჭარლებმა მშობლიური ენისა და წინაპართა ტრადიციების შენარჩუნება შეძლეს.

1878 წლის ბერლინის ტრაქტატით, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგების შეჯერების შემდეგ, აჭარა მაკმადიანური ოსმალეთის გავლენისაგან გათავისუფლდა, თუმცა ცარიზმის რეაქციული ეროვნული პოლიტიკის გამო ამ მხარეში კულტურულ-ეკონომიკური წინსვლა ძალზე ხელა მიმდინარეობდა. XX ს-ის 20-იანი წლებიდან შვიდი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს უპირველეს ქრისტიანულ კერაზე – აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ძალზე შეზღუდულად, ფაქტობრივად არც კი აღესრულებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკლესიას საშუალება მიეცა, თავისი მისია ამ კუთხეში უფრო აქტიურად განეხორციელებინა. განსაკუთრებული სულიერი და სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით და საქართველოს იმ-ჯამინდელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელშეწყობით 1991 წელს ზემო აჭარაში – ხულოში სასულიერო სასწავლებლის გახსნას. სასწავლებლი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლასა და ტექნიკუმს აერთიანებდა. ამ საქმის წარმართვა და ხელმძღვანელობა მიენდო დეკანოზ გრიგოლ აბულაძეს (ამჟამად სხალთის გამარჯის მმართველი მდგველმთავარია სპირიდონ აბულაძე). ამის კვალიდ აქტიურად დაიწყო ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობისა და ცხოვრების ქრისტიანული წესის აღორძინების ხანა. ეს პროცესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II წინამდოლობით და ძალისხმევით მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. განსაკუთრებული ფაქტი დამოკიდებულების გამომჟღავნება ამ კუთხის – ზემო აჭარის და საერთოდ აჭარის მიმართ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თურქეთის მრავალსაუბუნოვან ბატონობას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. აქაურ ძირდებულ ქართველებს ძალით თავს მოახვიეს მათთვის უცხო, მაკმადიანური სარწმუნოება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II პოზიცია კარგად არის წარმოჩენილი მის მოწოდებაში მთელი ქართული ერისადმი: „ჩვენ კი არ უნდა გავაკრისტიანოთ აჭარა, არამედ აჭარაშ უნდა გააქრისტიანოს სრულიად საქართველო“.

ერის სულიერი წინამდოლის თვალსაწიერით, უმაღლესი გადასახედიდან ბრძნულად განჭვრებილი აჭარის ფაქტორი და მისდამი მამაშვილური დამოკიდებულების გამომჟღავნება ნიმუშია მთელი ქართველი ერის პოზიციის გამოსახატავად ამ კუთხის მიმართ. სხალთის ეპარქიის შექმნაც საქართველოს პირველქრისტიანული კერისადმი ამ მზრუნველობის დასტურია. ეპარქიაში იმ ადგილას, სადაც წმიდა ანდრია მოციქულმა პირველი ქრისტიანული ტაძარი ააგო, დაგეგმილია დიდი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, რომელიც

არა მარტო საქართველოს მორწმუნებისათვის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანთა მომლოცველობის ადგილად უნდა იქცეს. პილიგრიმობის ცენტრის შექმნა ამ კუთხის ტრადიციულ უდიდეს სულიერ და სახელმწიფო ეპრივაციას დაუბრუნებს.

ახლად შექმნილი ეპარქიის იურის-დიქციაში გაერთიანებული კუთხის ბოლო პერიოდის ისტორია სრულ თანხვედრაში მოდის მეზობელი ბათუმისა და ქობულეთის სამდვდელმთავროს ისტორიასთან. 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განახლდა ბათუმის ეპარქიაც, რომელსაც ბათომშემოქმედის, მოგვიანებით ბათუმ-შემოქმედის სამდვდელმთავრო ეწოდა. აღნიშნული ეპარქია სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, გურია) და ნომინალურად საქართველოს სამხრეთ საზღვრებს მიღმა (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია) არსებულ ქართულ პროვინციებს აერთიანებდა. 1995 წლის 5 აპრილს ბათუმ-შემოქმედის განვრცხობილი ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემოქმედის და ბათუმ-სხალთის ეპარქიები, 2006 წლის 21 დეკემბერს კი ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ტერიტორიული გადანაწილების შემდეგ შეიქმნა ბათუმ-ქობულეთისა და სხალთის ეპარქიები.

სხალთის ეპარქიის მწევმსმთავრია ყოვლადუსამდვდელოები ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე).

37. ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია დასავლეთ საქართველოში, ისტორიული იმერეთის სამეფოს ოკრიბის მხარის ნაწილსა და იმერეთის დაბლობის ნაწილს მოიცავს. აღნიშნული სახელწოდებით ეპარქია 2006 წლის 21 დეკემბერს შეიქმნა დასავლეთ საქართველოში არსებული ქუთაის-გაენათის და მარგვეთ-უბისის სამდვდელმთავრო ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების საფუძველზე. ეპარქიის შემადგენლობაში შედის ქალაქები: ტყიბული (მიმდებარე ტერიტორიების ნაწილ-

ით) და თერჯოლა (სრულად თერჯოლის რაიონი). ტყიბულისა და თერჯოლის სამღვდელმთავროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება საჩხერისა და ჭიათურის ეპარქია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – მარგვეთისა და უბისის, დასავლეთიდან – ქუთაის-გაფნათის, ჩრდილოეთიდან – ნიკორწმინდის, სამხრეთიდან – ვანისა და ბაღდათის ეპარქიები.

სახელწოდებები „ტყიბული“ და „თერჯოლა“ წყაროებში მხოლოდ XVI ს-იდან იხსენიება, რაც შეეხება ოკრიბას, იგი XI ს-ის წერილობით ძეგლში გვხვდება.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ცნობები მოციქულთა – ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მაგათას – მიერ ფაზისის იბერების გაქრისტიანების შესახებ აღნიშნულ მხარესაც მოიცავს. ამდენად, ეპარქიის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთლიანად რიონის ხეობის გასწვრივ, ქრისტიანობის ქადაგება მოციქულთა დროს დაწყებულა. მევე მირიანის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ამ კუთხის მოსახლეობაც გაქრისტიანებულა. ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებას ეპარქიის ტერიტორიაზე შემორჩენილი ადრეული ხანის ეკლესია-მონასტრების სიუხვე ადასტურებს, ასევე – წყალწითელის ხეობაში, არაბთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში დავით და კონსტანტინე მხეიძეების მოწამებრივი აღსასრული და სხვა მრავალი ისტორიული ეპიზოდი.

ქრისტიანული სარწმუნოების ადრეული ხანებიდანვე მტკიცედ დამკვიდრების მიუხედავად, ეს მხარე დამოუკიდებელ სამღვდელმთავროდ XVI ს-მდე არ ჩამოყალიბებულა. XVI ს-ის პირველ მეოთხედში, იმერეთის მეფის ბაგრატ III (1510-1565 წწ.) დროს ქუთათელის სამწყსოს, საკუთრივ იმერეთის ტერიტორიაზე, ორი ახალი ეპარქია – გაენათი და ხონი – გამოეყო. გაენათელი მღვდელმთავრის კათედრა – გელათი „პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ“. პირველ გაენათელ მღვდელმთავრად მეფემ იმერეთის „კათალიკოზ-ეპისკოპოზთა“ თანხმობით, „დასუა საყუარელიძე მელქი-

სედეკ, ...რომელსა მისცა სამწყსოდ არგუეთისა ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი“. ამდენად, ოკრიბა ცალკე ეპარქიად მხოლოდ XVI ს-ის 30-იან წლებში გამოეყო ქუთაისის ეპარქიას და ახლად შექმნილი ეპარქიის საკათედრო ტაძარი გელათის ყოვლადწმიდა დვოთისმშობლის სახელობის მონასტერი გახდა. თუმცა, იმავე ხანებში, გელათის მონასტრის წმიდა გიორგის ეკლესია, ბიჭვინთიდან დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის (ევდემონ ჩეგიძის დროს, 1557-1578 წწ.) რეზიდენციის გადმონაცვლებით, მის კათედრად იქცა. ამით გელათში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსისა და გაენათელი მღვდელმთავრის კათედრები განთავსდა. იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე სამღვდელმთავროთა ამგვარმა განთავსებამ განსხვავებული, სრულიად ახლებური საეპარქიო-ტერიტორიული ადმინისტრაცია ჩამოაყალიბა. თითქმის ასე გრძელდებოდა ბოლომდე, დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე. ხანგრძლივი დროის მანძილზე კი, ოსმალების ქუთაისში ჩადგომის შემდეგ, გელათი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის, საკუთრივ გაენათელი და ასევე ქუთათელი მღვდელმთავრების რეზიდენცია, კათედრა და თავშესაფარი იყო.

მამულისა და ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდის დაცვის მიზნით, ეპარქიის ტერიტორიაზე აღსრულებულ მოვლენათაგან ახლო წარსულიდან აღსანიშნავია ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილთან გამართული დიდი ბრძოლა ქართველთა, სოლომონ I მეთაურობით, და ოსმალთა შორის 1757 წელს, სადაც ქართველმა მხედრობამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა; იმერეთის 1819-20 წწ. აჯანყებაში ამ კუთხის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული და დაუფარავად გამოხატავდა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნების სურვილს.

ახლად ჩამოყალიბებული ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში აღრიდანვე მრავალი საეკლესიო სიწმიდე იყო დაგანებული.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკ-

ლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის სექტემბერში გამართულ პირველ საეკლესიო კრებაზე, განახლებული 13 ეპარქიიდან სამი – ქუთაისის, გაენათის და მარგვეთის მოიცავდა მთლიანად იმერეთს. მალე ქუთაისისა და გაენათის სამდგდელმთავრო კათედრები ერთ სამწყსოდ გაერთიანდა და ქუთაის-გაენათის ეპარქია ეწოდა. XX ს-ის ბოლომდე იმერეთში მხოლოდ ორი – ქუთაის-გაენათისა და მარგვეთის – ეპარქია არსებობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-

არქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ძალისხმევით, 1995 წელს ქუთაის-გაენათისა და მარგვეთის ეპარქიათა საფუძველზე ჩამოყალიბდა ხონისა და სამტრუდის, განისა და ბაღდათის, საჩხერისა და ჭიათურის ეპარქიები.

2006 წლის 21 დეკემბერს კი ჩამოყალიბდა ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია.

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მწევმათავარია მაღალყოვლადუსამდგდელოესი მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე).

თამილა მგალობლიშვილი

უცნობი ძართული მონასტერი წმიდა მიწაზე

2002 წლის სექტემბერში, იერუსალიმის მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. უმლეიზონში მუშაობისას არქეოლოგმა ჯონ ზელიგმანმა მის მიერ აღმოჩენილი უცნობი მონასტრის ტერიტორიაზე, ამავე მონასტრის ტაძრის მოზაიკური იატაკის ქვეშ გათხარა კრიპტა, სადაც ერთ-ერთ სამარხზე შემონახული იყო საფლავის ქვა წარწერით (არქეოლოგისათვის უცნობ ენაზე).

ა. წ. 18 სექტემბერს ჯონ ზელიგმანის მიწვევით ეს უცნობი წარწერა ვნახეთ გიორგი გაგოშიძემ (ხელოვნებათმცოდნე, ეპიგრაფისტი), დავით ცხადაძემ (ხელოვნებათმცოდნე, ფოტოგრაფი), ლაშა უვანიამ (ისრაელში საქართველოს ყოფილი კონსული), პაატა გიგაურმა (მოქანდაკე) და მე. ჩვენდა სასიხარულოდ, იგი აღმოჩნდა ძალზე ადრეული ქართული წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

„ესე სამარხო იოანე ფურტაველ ეპისკოპოსისა

ქართველისაი“

აღლეოგრაფიული ანალიზის შედეგად, წარწერა V ს-ის დასასრულით ან VI ს-ის I ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.¹

ბირ-ელ-კატში (ბეთლემთან) ვირჯილიო კორპოს მიერ აღმოჩენილ ქართულ წარწერებთან ერთად,² ეს წარწერა

1 წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი ეპუთვნის გ. გაგოშიძეს.

2 V. Corbo and M. Tarchnishvili, Inscrizioni georgiane del monastero di S. Teodoro a Bir el Qutt (Bettlemme). -«La Terra Santa», 28, Jerusalem, 1953, 181-186; V. Corbo, Gli Scavi di Kh. Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) ei monastero dei dintorni. - Pubblicazioni dello Studium

ერთ-ერთი უძველესია წმ. მიწაზე.

თავდაპირველად შევცდები ძალზე მოკლედ მიმოვიხილო ის მცირე ცნობები, რომლებიც წმ. მიწაზე არაბობამდე ქართველთა კოლონიის ისტორიას ეხება, რათა უფრო ნათელი გახდეს ამ წარწერის მნიშვნელობა არა მარტო ქართული კოლონიის, არამედ წმ. მიწაზე ადრებიზანტიურ პერიოდში სამონასტრო ცხოვრების დაწყების, განვითარების და, საერთოდ, ადრეული ქრისტიანობის ისტორიისათვის.

საქართველოსა და წმ. მიწას შორის ურთიერთობებს ქართული ტრადიციით ოცდაექვსი საუკუნის ისტორია აქვს.³ მაგრამ ეს ურთიერთობები განსაკუთრებით ჭიდრო ხდება IV ს-იდან, საქართველოში

Biblicum Franciscanum, 11, Gerusalēmme, 1955, 279-284; მ. თარხნიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში. – „ბედი ქართისა“, 16, 1954, 12-17; შ. ნუცუბიძე, ქართული წარწერები იერუსალიმში. – გაზ. „კომუნისტი“, 4, I, № 3(11309), თბილისი, 1959; შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები. აზროვნება და შემოქმედება, თბილისი, 1966, 97-106, 107-124, 454-474; კ. კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და მისი მოზაიკური წარწერა. – იხ. მისი: ეტიუდები, VI, თბილისი, 1960, 72-80; კ. ქეკელიძე, ძეგლი ქართული დიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, 39,89; ს. ყაუხესიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, 058-062; გ. წერეთული, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960; ა. გამჭრელიძე, უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინში. – „ლიტერატურული გაზეთი“, 15. VI, 1956, № 24(986); ბ. გიორგაძე, პალესტინში აღმოჩენილი ქართული კულტურის IV-V სს. ძეგლის შესახებ. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 12, 33-38 და ა. შ.

3 ს. ყაუხესიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, 72-130.

ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ. ამ პერიოდიდან დაწყებული, ქართველები დიდი გატაცებით შეუდგნენ ქრისტიანული კულტურის გაცნობასა და ახლად დაარსებული ეკლესიისათვის საჭირო ლიტერატურის თარგმანასა და გავრცელებას. ამ მიზნით ქართული ეკლესიის მოღვაწეთა და ქართველ მეფეთა დიდი მცდელობით შეიქმნა სამწერლობო და მთარგმნელობითი ცენტრები, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერძი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ახლად გაქრისტიანებული სახელმწიფოს მოსახლეობისათვის განსაკუთრებული იყო პალესტინის წმ. ადგილების მოხილვისა და მოლოცვის სურვილი. შედეგმაც არ დააყოვნა – როგორც ჩანს, IV ს-ის მეორე ნახევრიდან პალესტინაში პირველი ქართველები ჩნდებიან,¹ V–VI სს-ში კი მათი ექსპანსია საქმაოდ ძლიერია.²

1 ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ევაგრე პონტოლი პირველი ქართველი ბერია პალესტინაში. იხ. რ. განენი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, 11; მ. თარხნიშვილი, ქართული ხელოვნების ნაშთი ეგვიპტეში. – „ბედი ქართლისა“, 11, 1952, 25; M. Tarchnishvili, Il monachismo georgiano nelle sue origini e nei suoi primi sviluppi. – Il monachismo orientale, Roma, 1958, 307-319; კ. პეტრელიძე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე. – იხ. მიხეი: ეტიუდები, VI, თბილისი, 1960, 5-17; J. Assfalg and P. Krüger, Kleines Wörterbuch des Christlichen Orients, Wiesbaden 1975, 139; P.N. Egender, OSB, Les Débuts du Monachisme en Palestine. Ancient Christianity in the Caucasus. – «Iberica Caucasic», vol. 1, London, 1998, 132; იხ. ასევე: ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიული შეკრლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბილისი, 1967, 107-117; IV ს-ის დასასრულება და V ს-ის დასაწყისში წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობაზე უნდა მიგვითოთებდეს ასევე ნაზარეთში ხარების ახალი კათოლიკური ეკლესიის აღიდას V ს-ის პირველ ნახევრამდე დანგრეული ეკლესის შედეხილობაზე შესრულებული გრაფიტები, იხ. ს. აღვენიძე, ლუკრი, სინას მთა, ნაზარეთი. ეპიგრაფიკული ეტიუდები. – ქრის. „მნემე“, თბილისი, 2000, 18-25.

2 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერძი, ტ. II, თბილისი, 1980, 20-25; ივ. ლოლაშვილი, ცხოვრება პეტრე იბერისა, თბილისი, 1988, 79-203; ი. აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წმ. II, თბილისი, 1967, 213-263.

თავდაპირველად ქართველები მკვიდრდებოდნენ ცნობილ სავანეებში, ქმნიდნენ საკრებულოებს, აშენებდნენ ჩამოსულ ქართველთათვის სასტუმრო სახლებს. იერუსალიმის პირველი მღოცელები იყვნენ ქართული სამეფო სახლისა და არისტოკრატის წარმომადგენლები. ქართველები დვთისმსახურებას თავიანთ მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ არა მარტო ქართლში (იბერია), არამედ პალესტინაში, საბას ლავრაში, რაზედაც მოწმობს წმ. საბა განწმედილის ანდერძიც (+532 წ.).³

აქვე უთუოდ საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ V ს-იდან მოყოლებული X ს-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში (იბერია) დვთისმსახურების იერუსალიმური წესი მოქმედებდა.⁴ ასევე კარგად არის ცნობილი, რომ პირველი ლიტერგიკული წიგნებიც (იერუსალიმური ლექციონარი, უძველესი იადგარი და მრავალთავი), რომლებსაც ქართული ეკლესია დვთისმსახურებისას იყენებდა მშობლიურ ენაზე, V–VII სს-ის იერუსალიმური (ქრისტეს საფლავის ეკლესიის) პრაქტიკის ამსახველი იყო.⁵

V–VI სს-ში პალესტინაში ქართველთა მოძრაობის გეოგრაფია თანდათან ფართოვდება. ქართველებს ვხვდებით არა მარტო იერუსალიმსა და მის შემოგარენში, არამედ პალესტინის უდაბნოებში იმ დროისათვის უკვე დაფუძნებულ მონასტრებსა და ლავრებში, ასევე მათ მიერ აგებულ, საკუთრივ, ქართულ მონასტრებში.

წმ. მიწაზე საქართველოდან მოსულ მომლოცველთა თუ მოგზაურთა რაოდენობა, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ პეტრე იბერის ქართული „ცხოვრების“ თანახმად, პეტრე იბერი არა მარტო მონას-

3 კ. პავლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 38-39; ლ. მენაბდე, კერუები, 26.

4 იხ. K. Kekelidze, Иерусалимский Канонарь, Тифлис, 1912; M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain-la-Neuve, 1975; კ. მეტრეველი, ც. ჭანკივივა, ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარი, თბილისი, 1980; თ. მგალობლიუმვილი, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991.

5 K. Kekelidze, Канонарь; კ. მეტრეველი, ც. ჭანკივივა, ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარი; თ. მგალობლიუმვილი, კლარჯული მრავალთავი, 165-190.

ტრებსა და ეკლესიებს აშენებდა, არამედ
მას სასტუმრო სახლების აშენებაც კი
დასჭირდა წმ. ქალაქში.

აი, როგორ გადმოგვცემს ამ ფაქტს „ცხე-
ორების“ ქართული ვერსია: პეტრე იბერძა
და იოანე ლაზარე... „ადაშენებს სახლი სას-
ტუმრო ქალაქსა შინა (იგულისხმება წმ.
ქალაქი), და განუსუენებდეს მომავალთა
ძმათა ქართველთა და ბერძენთა. რამეთუ
განპმზადეს ფერხთა საბანელი და ტრა-
ჟეზი და სარეცლები და წარაგეს ზოგი
განძისა მის, რომელ აქუნდა სამეუფო თ.

და მერმე წარვიდეს უდაბნოდ, და
შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს
მონასტერი თუსისათვეს.“¹

ამავე ქართული „ცხორების“ მიხედ-
ვით, პეტრე, იოვანე და მათი მოწაფენი
„წარვიდენ ეგპატედ სანახებთა სკიტისა-
თა.“ მოილოცეს იქაურობა, შემდეგ გამო-
არჩიეს ერთი ადგილი და აღაშენეს მონას-
ტერი და ეკლესია. ხოლო შემდეგ „კუალ-
ად მოიქცეს იერუსალიმადვე და კუალად
აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმ-
რო.“²

პეტრე იბერის ასურულ „ცხორე-
ბაში“, რომელიც პირვანდელი სახით არ
გვაქვს და მისი გადამუშავებული ვერსიაა
შემონახული, აღნიშნულია მხოლოდ მონ-
ასტერების მშენებლობა და არა სასტუმრო
სახლებისა.³

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე
ითქვა, დღეისათვის პეტრე იბერის „ცხო-
რების“ ორი ვერსიაა შემონახული (ქარ-
თული და სირიული), მაინც ძალზე მწირია
ცნობები არა მარტო ამ პერიოდში წმ. მი-
წაზე მოღვაწე ქართველთა შესახებ, არ-
ამედ თვით პეტრე იბერის მოღვაწეობის
აღსაღენადაც. ფაქტობრივად, თვით მის
მიერ აშენებული მონასტერების მოძიება
და იდენტიფიკაციაც კი ჯერჯერობით
საკმაოდ რთული პროცესია.

ასევე მწირია უძველესი ქართული და
სხვაენოვანი წყაროების ცნობები, ზოგა-
დად, ქართველთა აღმშენებლობის შესახე-

ბაც. რაღა თქმა უნდა, ამას ობიექტური
საფუძველიც გააჩნია, ბევრი რამ გაქრა
და განადგურდა სპარსელთა შემოსევისა
(VI ს.) თუ არაბთა ბატონობის შედეგად
(VII–XI სს.). ასე რომ, არაბობამდელი პე-
რიოდის ქრისტიანული ძეგლების მიგნება
თუ მათი რაობის დადგენა დღეს საქმაოდ
რთული პროცესია თანამედროვე მეც-
ნიერებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს
იწვევს ქართველი მოგზაურისა და მეც-
ნიერის – ტიმოთე გაბაშვილის (XVIII ს.)
ცნობები წმ. ჯვრის მონასტრის კედლის
მხატვრობის შესახებ, რომლებიც მისი „მი-
მოსლევის“ ტექსტშია დაცული.⁴

1758 წელს წმ. მიწაზე მოგზაურობისას,
ტიმოთე გაბაშვილმა წმ. ჯვრის მონასტერ-
ში იხილა ქართველ წმ. მამათა და მოწამ-
ეთა ჯგუფური გამოსახულება წარწერე-
ბითურთ.⁵ მათი ნაშთი ნიკოლოზ ჩუბინაშ-
ვილსაც (XX ს.) უნახავს.⁶ მნიშვნელოვა-
ნია აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფური გამო-
სახულებიდან მთელი რიგი ისტორიული
პირების იდენტიფიკაცია შესაძლებელია,
მაგრამ ნაწილი აქ ჩამოთვლილი მამები-
სა სახებით უცნობია. ელ. მეტრეველის
ვარაუდით, იმის გამო, რომ ამ პირთა სახ-
ელები არ დასტურდება ქართულ ლიტერ-
ატურად და პაგიოგრაფიულ ძეგლებში, მათი
პოპულარობა, როგორც ჩანს, პალესტი-
ნის ქართული კოლონიის საზღვრებს არ
გასცდებია.⁷ ხოლო მათი მოუხსენებლობა
იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საადაპე-
კრებულში, ალბათ, იმაზე უნდა მეტყველებ-
დეს, რომ ისინი იმ პერიოდის მოღვაწენი
უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ჯერ კიდევ
წესად არ იყო ქართველ მოღვაწეთა დგაწ-
ლის წერილობითი ფიქსაცია.⁸ როგორც

4 ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი – „მიმოსლე-
ვა“, თბილისი, 1956, 85-86; ელ. მეტრეველი, მასა-
ლები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტო-
რიისათვის, თბილისი, 1962, 60.

5 ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი, – „მიმოსლე-
ვა“, 82-86; ელ. მეტრეველი, მასალები, 59-68.

6 Н. Чубинов, Описание Крестного Монастыря близ Иерусалима. - Сведения, т. I, вып. III, 45-46.

7 ელ. მეტრეველი, მასალები, 60-61; იხ. ასევე იმანა-
ბატონიშვილი, კალმასობა, II, 184.

8 ელ. მეტრეველი, მასალები, 60-61.

1 იღ. აბულაძე, ძეგლები, II, 229.

2 იღ. აბულაძე, ძეგლები, II, 235.

3 ივ. ლოლაშვილი, ცხოვრება პეტრე იბერისა, 79-203.

ცნობილია, ეს ტრადიცია იერუსალიმურ ქართულ თემში შედარებით გვიან, XI ს-იდან დამკვიდრდა, პროხორე შავშელის მიერ წმ. ჯვრის მონასტრის აშენების შემდგომ და პირველი, ვინც ამ კრებულში მოიხსენიება პროხორე შავშელია, მონასტრის აღმაშენებელი, მის მიერ გაწეული დიდი დვაწლის გამო.¹ თუმცა ასევე ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ იერუსალიმის ქართული კოლონის ისტორიის ამსახული მასალები ასევე განადგურებულიყო არაბობის უამს.

აი, ტიმოთე გაბაშვილის მიერ ჯვრის მონასტერში დაფიქსირებული წმ. მამებისა და მოწამეთა სახელები, რომლებიც შესაძლებელია V–X სს-ში მოღვაწეობდნენ წმ. მიწაზე:

„მღვდელმოწამე მოსე ქართველი
მარი მღვდელმოწამე ქართველი
ეპისკოპოსი კინდ ქართველი
ეპისკოპოსი ნუნუს ქართველი“²

ამ სიიდან არც ერთი სახელი არ ჩანს ქართულ წყაროებში. ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ სომხურ წყაროში დასტურდება: VII ს-ის პალეხტინის მონასტრების აღწერილობაში სომები აგტორი სომხურ მონასტრებთან ერთად ასახელებს ნეტარი კინდის მონასტერს იოდასაფის უდაბნოს მისასვლელთან. სენებული სომხური წყაროს გამომცემელი დ. ალიშანი ნეტარი კინდის შესახებ ვერაფერს ამბობს გარდა იმისა, რომ მისი ვარაუდით, იგი შეიძლება IV ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე იყოს, წმ. ნერსეს მოწაფე³ დღეისათვის, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია ზემოხსენებული ორი კინდის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ ამჯერად, ალბათ, ისიც საინტერესოა, რომ VII ს-ის სომხურ წყაროში დაფიქსირებულია ნეტარი კინდი და მისი სახელობის მონასტერი.

1 ელ. მეტრეველი, მასალები, 61; იხ. ჯვრის მონასტრის კოლექციის ხელნაწერი იერ. 24-25; R. Blake, Catalogue de manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchal gréco-orthodoxe de Jérusalem. - «Revue de l'Orient Chrétien», 24, 1924.

2 ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი – „მიმოსლვა“, 85-86; ელ. მეტრეველი, მასალები, 60.

3 Archive de L'Orient Latin, II, Paris, 1884, 394-399.

ბუნებრივია, წმ. ჯვრის მონასტრის ქართველ წმ. მამათა და მოწამეთა სია სრული არ არის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ სამუელ ქართველი ეპისკოპოსის სახელი ზემოხსენებულ სიაში არ ჩანს. მაგრამ მისი სახელი დასტურდება ბერძნულებრივანი საფლავის ქვაზე, რომელიც წმ. ქალაქის გალავნის გარეთ შემთხვევით აღმოჩნდა მშენებლობისას. სამუელ ეპისკოპოსის მონასტერი, წარწერის მიხედვით, დავითის კოშკიან მდებარეობდა, იაფოს კარიბჭეთან,⁴ ხოლო თვით წარწერა სამუზეუმი პასპორტის მიხედვით V–VII სს-ით თარიღდება და დღეს, იერუსალიმში, როკფელერის მუზეუმშია დაცული⁵ (თუმცა ჩემი ვარაუდით, წარწერის წაკითხვა და მისი თარიღი, ალბათ, უფრო დასახუსტებელია).

ამრიგად, ცხადია, რომ V ს-იდან ქართველები საკმაოდ იყვნენ წმ. მიწაზე. ამას ადასტურებს არა მარტო პეტრე იბერის „ცხორების“ ქართულ-სირიული ვერსიები, არამედ ზემოაღნიშნული ჯვრის მონასტრის დღისათვის განადგურებული კედლის შესატრობის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც ტიმოთე გაბაშვილის აღწერილობით არის შემორჩენილი.⁶ ამასვე ადასტურებს წმ. გერასიმე იორდანელისა და მისი მონასტრის შესახებ შემონახული რამდენიმე ბიზანტიური წყაროც, რომელთა მიხედვითაც იუდეისა და იორდანეს უდაბნოში მოღვაწე ბერებს შორის ჯვაროსნებამდე და ჯვაროსანთა შემდეგაც იყვნენ ქართველი (იბერიელი) ბერები, მესვეტებიც კი, რომლებიც გამორჩეული იყვნენ თავისი რწმენითა და დმრთისადმი მსახურებით. მათთან კონტაქტს, მიახლოებასაც კი მორწმუნეთათვის დიდი სულიერი სარგებელი მოჰქონდა. აქევე ცნობები იმ ქართველი ბერების შესახებაც, რომლებიც კალამონში ცხოვრობდნენ. განსაკუთრებით აღნიშნულია მათი დვაწლი კალამონის მონასტრისა და

4 J.H. Iliffe, Cemeteries and a Monastery at the Y.M.C.A., Jerusalem, QDAP 4, 1935, 78-80; Y. Israeli, D. Mevorah, Cradle of Christianity, Jerusalem, 2000, 173, 224.

5 Y. Israeli, D. Mevorah, Cradle of Christianity, 173, 224.

6 ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი – „მიმოსლვა“, 82-83.

იორდანეს უდაბნოში წმ. გერასიმე იორდანელის სახელთან დაკავშირებული წმ. ადგილების გადასარჩენად, რაც მათვის შესაძლებელი იყო მამლუქებთან და ბაღდადის სალიფებთან კარგი ურთიერთობის გამო.¹ ასევე შემონახულია ცნობები კალამონის მონასტრის კედლებზე ქართული წარწერების არსებობის შესახებ ჯვაროსნებამდელ პერიოდშიაც კი.²

პალესტინის უდაბნოებში ქართველთა მოღვაწეობა დიდ ინტერესს იწვევდა მუდამ ქართველოლოგიურ თუ ადრეულ ქრისტიანობაზე მომუშავე სამეცნიერო წრებში, განსაკუთრებით, ალბათ, იუდეის უდაბნო უნდა გამოიყოს. აქ სამონასტრო ცხოვრების დაწყებისთანავე, უკვე IV სიდან იუდეის უდაბნოში განმარტოება თუ დამკიდრება – მონასტრებისა და ლავრების დაფუძნება ყველა ეროვნების ქრისტიანისათვის უდიდესი პატივი და ოცნება იყო. V ს-იდან მოყოლებული კი, იუდეის უდაბნო, ქრისტიანულ სამყაროში, ფაქტობრივად, სამონასტრო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა.

იმის გამო, რომ ამ პერიოდის ამსახველი წერილობითი წყაროები ძალზე ცოტაა შემონახული, განსაკუთრებული მნიშვნელობა არქეოლოგიას ენიჭება. იუდეის უდაბნოში არქეოლოგიური გათხრების დაწყება 1928 წლიდან ბრიტანელი ისტორიკოსის დერვეს შჩიტის სახელს უკავშირდება.³ შემდეგ აქ მუშაობდნენ ცნობილი ფრანცისკელი მეცნიერები: ვირჯილიო კორბო და ბელარმინო ბაგატი.⁴ 1967 წლიდან კი უკვე ისრაელელი არქეოლოგები იწყებენ აქტიურ მუშაობას და შთამბეჭდავ შედე-

1 J. Wilkinson, J. Hill, W.F. Ryan, *Jerusalem Pilgrimage, 1099-1185*, London, 1988, 330-331; St. Gerasimus Jordanian and his Holy Monastery, Larnaca, Cyprus, 2001 (in Greek).

2 St. Gerasimus Jordanian, 45.

3 D.J. Chitty, A.H.M. Jones, *The Church of St. Euthymius at Khan el-Ahmar, near Jerusalem*. - PEFQS, 1928, 175-178; D.J. Chitty, *Excavations at the Monastery of St. Euthymius*. - PEFQS, 1930, 43-7; 150-153; D.J. Chitty, *The Monastery of Euthymius*. - PEFQS, 1932, 188-203; Y. Hirschfeld, *The Judean Desert Monasteries in the Byzantine Period*, 1992, 2-6.

4 ი. ი. Y. Hirschfeld, *The Judean Desert*, 6.

გებსაც აღწევენ.⁵ მართალია, ეს გათხრები ძალზე მასშტაბურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ძეგლების სპეციალური კვლევა აქ ფაქტობრივად, არასოდეს ხდებოდა.

ამ მხრივ, იერუსალიმის მახლობლად, იუდეის უდაბნოს დასაწყისში, თანამედროვე არაბულ სოფელ უმლეიზონში ჯონ ზელიგმანის მიერ გამოვლენილი მასალა სრულიად უნიკალურია. ფაქტობრივად, ჯონ ზელიგმანის მიერ დღემდე უცნობი ქართული მონასტრის აღმოჩენის ფაქტი ვირჯილიო კორბოს მიერ ბირ-ელ-კატში პეტრე იბერის მონასტრის აღმოჩენის ტოლფასია და მას, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. პირადად ჩვენთვის კი, ქართველი მეცნიერებისათვის, დიდი ბედნიერებაა, რომ ამ აღმოჩენის მონაწილენი გავხდით.

ახლა, რაც შეეხება წარწერას:

წარწერა პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე V ს-ის დასასრულითა და VI ს-ის დასაწყისით თარიღდება; მის არქაულობაზე უნდა მეტყველებდეს ასევე მასში შემონახული სახელიც – „იოჰანე“.

უდევლესი ქართული წერილობითი ძეგლების კვლევის შედეგად დღეს სავსებით დაბეჭიოთ შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელის ფორმა – „იოჰანე“ – ქართულ ტაქტებში V ს-იდან VII ს-ის ნახევრამდე დასტურდება (ი. ხანმეტი ლექციონარი, ხანმეტი მრავალთავი, ხანმეტი ოთხთავი და ა. შ.). მხოლოდ VII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება ფორმა – „იოანე“.⁶

ასე რომ, ჩვენს წარწერაში დამოწმებული ფორმა – „იოჰანე“ – ამ წარწერის არქაულობაზე მეტყველებს და, შესაბამისად, მის თარიღს V-VII სს-ს შორის ათავსებს.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან ადრებიზანტიური პერიოდის (IV-VIII სს.) პალესტინაში მოღვაწე ქართველთა შორის უცნობია იოჰანე ფურ-

5 ი. ი. Y. Hirschfeld, *The Judean Desert*, 6; ი. ასევე: E. Stern, *The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land*, Jerusalem, 1993, 1,2, 3, 4.

6 ე. ჭელიძე, დველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, ობილისი, 1996, 286-291.

ტაველ ეპისკოპოსის სახელი.

უმდეითონის წარწერაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იოპანე ქართველი ეპისკოპოსის ზედწოდება „ფურტაველი“. იოპანე ფურტაველ ეპისკოპოსთან დაკავშირებით ქართველი მკითხველისათვის მაშინვე ჩნდება ცდუნება, იგი იოპანე ცურტაველ ეპისკოპოსის (V ს.) სახელთან გააიგივოს.¹ თუმცა, ჩემი აზრით, „ცურტავი“ და „ფურტავი“ სრულიად განსხვავებული სახელწოდებებია, რომელთაგან პირველი საქართველოს უკავშირდება, მეორე კი – პალესტინას. „ცურტავის“ ეტიმოლოგია დღემდე პუნდოვანია, „ფურტავი“ კი, ჩემი ვარაუდით, წმ. მიწაზე არსებული, ადგილობრივი – სემიტური – წარმოშობის სახელი უნდა იყოს. ეს ფაქტი გამონაკლისს არ წარმოადგენს წმ. მიწის ქართული კოლონის ისტორიისათვის, სადაც დასტურდება არა მარტო საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელები, როგორიცაა, მაგ., დევოტუბანი (კომპოზიტი),² არამედ სემიტური წარმოშობისაც, მაგ., დერტავი/დელტავი, დერტუფა (ასევე კომპოზიტები).³

ვფიქრობ, ჩემს ვარაუდს განამტკიცებს ისიც, რომ წარწერის ტექსტში იოპანე ფურტაველ ეპისკოპოსის სახელთან მითითებულია მისი ეროვნებაც: „ქართველისად“. ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, სენებული სახელის – „ქართველისად“ – ქვეშ, ჩემი ფიქრით, მხოლოდ და მხოლოდ იბერიელი ივარაუდება, ე. ი. წარმოშობით ქართველი, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს (იბერიის) მკვიდრი. ამასთან დაკავშირებით, უთუოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ ამ ტერმინის, ე. ი. „ქართველის“ უძველესი დამოწმება. ქართულ წერილობით წყაროებში იგი მხოლოდ VII

1 იხ. იღ. აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წმ. I, ობილისი, 1964, 11-29.

2 თ. ცერაძე, დევოტუბანი – ქართველთა სამოღვაწეო უცნობი კერა წმ. მიწაზე. – „მრავალთავი“, XX, ობილისი, 2003, 179-182.

3 იხ. ელ. მეტრეველი, დერტავისა და დერტუფას ხელნაწერების ირგვლივ. – აღმოსავლური ფილოლოგია, IV, ობილისი, 1976, 74-89; ელ. მეტრეველი, მასალები, 174.

ს-იდან ჩნდება.⁴ ვფიქრობ, ეს ფაქტი უცნაურად არ უნდა მოგვეჩენოს, რადგან თვით ჩვენი ეროვნული წელთაღრიცხვაც – „ქართული დასაბამიდან“ საქართველოში IX ს-იდან ჩნდება, წმ. მიწაზე კი უკვე V-VI სს-იდან დასტურდება⁵

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მონასტერი ქართულია, მონასტრის კრიპტაში სხვა სამართლავან გამოყოფილია და სრული პატივით არის დაკრძალული ქართველი ეპისკოპოსი იოპანე, რომლის საფლავის ქვის წარწერაც ქართულენოვანია, მაშინ სავსებით გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო ქართული მონასტრის ქართულენოვანი საფლავის წარწერაში ქართველი ეპისკოპოსის ეროვნების განმარტება. ხომ არ უკავშირდება ეს იოპანე ეპისკოპოსის ზედწოდების პრობლემას. ზედწოდება „ფურტაველი“ საქართველოში მიღებულ სახელწოდებას რომ წარმოადგენდეს, ხოლო თავად იოპანე ეპისკოპოსი კი საქართველოს რომელიმე კუთხეში არსებული მონასტრის ეპისკოპოსი ყოფილიყო, ამ შემთხვევაში სენებულ წარწერაში ეპისკოპოსის ეროვნების დაფიქსირება ქართული მონასტრის ქართულ წარწერაში ჩემთვის აუსენელია. მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს ზედწოდება („ფურტაველი“) წმ. მიწაზე შეძენილია და, თანაც, არაქართული წარმოშობისაა, მაშინ, ალბათ, უფრო გასაგები გახდება უცხოენოვანი სახელის მქონე ქართული მონასტრის ქართულ წარწერაში ქართველი ეპისკოპოსის წარმომავლობის დაფიქსირება.

ამ წარწერისგან განსხვავებით, სამუელ ქართველი ეპისკოპოსის ბერძნულენოვანი საფლავის ქვის წარწერაში სამუელ ეპისკოპოსის ქართველობის (იბერიელობის)

4 დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. – კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, 337-376; დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბილისი, 2002, 5-17.

5 L.Segni, The Beit Safafa Inscription Reconsidered and the Question of a Local Era in Jerusalem. — Israel Exploration Journal, v.43, 1993, 157-168: L. D. Segni, A Georgian Chronological system in the sixth-century Jerusalem, 1997, 1-8, გამოუქვეყნებელი.

მითითება, ჩემი ფიქრით, საგსებით გასაგებია და აი, რატომ:

თავდაპირველად მოვიყვან სამუელ ეპისკოპოსის საფლავის ბერძნულენოვანი წარწერის ტექსტის თარგმანს:

„ეს სამარხი სამუელ ქართველი (ბერძნ. ობერიელი) ეპისკოპოსისა, რომელიც იყო დავითის კოშკში ქართველთა (იბერთა) მიერ შეძენილი ქართველთა (იბერთა) მონასტრის ეპისკოპოსი“!¹

ვფიქრობ ნათელია, რომ ამ წარწერაში საუბარია პეტრე იბერის მიერ წმ. ქალაქში, დავითის კოშკთან დაარსებულ იბერთა მონასტერზე, მაგრამ სამუელ ეპისკოპოსის სამარხი საფლავის წარწერიანი ქვით აღმოჩენილ იქნა დავითის კოშკის მახლობლად, წმ. ქალაქის, იაფოს კარიბჭის გარეთ, საერთო ქრისტიანულ სასაფლაოზე. ამ შემთხვევაში, საგსებით გასაგებია, რომ მონასტრისა და, საერთოდ, ძველი ქალაქის კედლის გარეთ არსებულ სასაფლაოზე საფლავის ქვაზე წარწერა ბერძნულ ენაზე გაკეთებულიყო, რაც ბუნებრივია ქრისტიანული პალესტინისათვის. გასაგებია ისიც, რომ ამ ბერძნულენოვან ტექსტში ასევე დაფიქსირებულიყო არა მარტო ეპისკოპოსის სახელი და ეროვნება, არამედ მითითებული ყოფილიყო თვით მონასტრის ადგილმდებარეობა და მისი სახელიც – ქართველთა (იბერთა).

ამ ორი ქართველი ეპისკოპოსის საფლავის ქვების წარწერათა გათვალისწინების შედეგად უმლეიზონის წარწერაში დადასტურებული იოპანე ქართველი ეპისკოპოსის ზედწოდება „ფურტაველი“ უფრო ადგილობრივი – სემიტური – წარმოშობისად მეჩვენება. ეს ზედწოდება, ალბათ, ფურტავიდან არის ნაწარმოები, რაც, შესაძლებელია, მონასტრის სახელი იყო, თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ იგი, თავისთავად, ამ ადგილთან დაკავშირებული ძველი ტოპონიმიდანაც მომდინარეობდეს.

თუმცა აქვე არსებობდა ასევე გარკვეული ცდუნება, რომ უმლეიზონის წარწერაში მოხსენიებული „ფურტაველი“ ეპისკოპოსი „ეპისტოლეთა წიგნში“ დასახელებული „ფორთის“ (სომხ. *porta*) ეპისკოპოსთან დამეკავშირებინა. „ფორთის“ ეპისკოპოსის

1 Y. Israeli, D. Mevorah, Cradle of Christianity, 173.

სსენება შემონახულია აბრაამ სომეხთა კათალიკოსის, კირონ ქართლის კათოლიკოსისადმი მიწერილ მესამე ეპისტოლეში, სადაც მოცემულია ქართველთა, კავკასიელ ალბანელთა და სიქინიელთა ეპისკოპოსების სია, რომლებიც დვინის 506 წლის კრებას ესწრებოდნენ.² მაგრამ იმის გამო, რომ ამ ეპისტოლეს სომხური ტექსტის საფუძვლად გამოყენებულია მისი სომხური წყაროს – დვინის კრების „პირობის წიგნის“ – ბერძნული თარგმანი, ნაცვლად დაპარგული სომხური ორიგინალისა, სსენებულ ეპისტოლეში ძალზე დამასინჯებულია საეპისკოპოსოთა სახელები და ბევრი მათგანის, ისევე როგორც „ფორთის“ საეპისკოპოსოს იდენტიფიკაცია სრულიად შეუძლებელია.³

ყველივე ამის გამო, „ფურტავი“, „ფურტაველის“ ეტიმოლოგიის ძიებისას ჩემი ყურადღება შევაჩერე მხოლოდ ორ სემიტურ სიტევაზე, რომელთაგან

ერთია – ებრ. Phura – საწნახელი, ჭურჭელი, რომელშიაც ყურძნი ფეხით იწურება;

მეორე კი – არამ. Phurta – პატარა, მცირე (დიდიდან გამოყოფილი მცირე ერთეული, ნაწილი).

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ებრ. Phura – საწნახელი⁴

თუ ქართული ფურტავის წარმოქმნის საფუძვლად მივიჩნევთ ებრ. Phura-ს, მაშინ უნდა მოიძებნოს ფურტავის მეორე ნაწილის – tav-ის წყარო. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს არამეული tav, რაც წმიდას, კარგს, კურთხეულს ნიშნავს.⁵

თუ დავუმვებოთ, რომ ქართული „ფურტავი“ კომპოზიტია, რომელიც შედგენილია ებრაულ-არამეული სიტევებისაგან Phura + Tav, სადაც Phura-ში ბოლოკიდური ა ქართულისათვის ბუნებრივად ამოვარდება, მაშინ მივიღებთ Phurtav-ს – ქართ. ფურტავი, რაც, ალბათ, ნიშნავდა წმ. საწნახელს ან წმ. საწნახელის ადგილს, საიდანაც შეიძლება ნაწარმოები იყოს მონასტრის სახელიც.

2 ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბილისი, 1968, 97.

3 ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 161-162.

4 A. Even-Shoshan, Explanatory Dictionary, Jerusalem, 1999; F.A. Shapiro, Ivrit-Russian Dictionary, Moscow, 1963.

5 J. Rayne Smith D.D., A Compendious Syriac. Dictionary founded upon the Thesaurus Syriacus, Oxford, 1973.

ამასთან დაკავშირებით უთუოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ Phura ბიბლიაში რამდენჯერმე გვხვდება საწნახლის მნიშვნელობით. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს – ესაია 63, 2-3:

„რატომ არის წითელი შენი ტალავარი და შენი სამოსელი საწნახელში დაწურულივით?

მე მარტო ვწურავდი დვინოს და ხალხაგან არავინ იყო ჩემთან. ვწურავდი ჩემი რისხვისას და ვწეხხავდი ჩემი მძვინვარებისას, და მისი სისხლი მოესხურა ჩემს სამოსელს და შევბლალე ჩემი ტალავარი!“¹

საინტერესოა, რომ ბიბლიის ზოგიერთი კომენტატორის აზრით, საწნახელსა და მასში ყურძნის წურვას სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც გულისხმობს ღმრთის მტრების დასჯას.²

ვფიქრობ, შეიძლება სწორედ ამ სიმბოლური მნიშვნელობის გავლენით გვხვდება ებრ. Phura (საწნახელი) შემდეგი არაბიზებული ტოპონიმების ძირებში, როგორიცაა:

Kh. el Fureihyye (ბოლოში დამატებული აქვს არაბული წარმომავლობის სუფიქსი).

ეს ტოპონიმი ნიშნავს საწნახლის ნანგრევებს.

აქ არის მავზოლეუმი, იგი მდებარეობს სამარიაში.³

მეორე არის Kh. Fureir – ფურეირის ნანგრევები.

ორივე ტოპონიმის ძირი არის Phur (Phr, Fr).⁴

საინტერესოა ისიც, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჯონ ზელიგმანმა ამ ადგილზე დაადასტურა ასევე ადრეომაული პერიოდის ებრაული კვალიც. იქნებ, ამ ადგილს ებრაელთათვის, მართლაც, ეს სახელი – „ფურტავი“, როგორც წმ. საწნახლის ადგილი ერქვა, რომელიც არაბობის შემდგომ შემოგვინახა მხოლოდ ქართულმა წარწერამ.

1 А.П. Лопухин, Толковая библия, II, Петербург, 1987, 526-527.

2 А.П. Лопухин, Толковая библия, II, 526-527.

3 Y. Tsafrir, L. Di Segni, J. Green, Tabula Imperii Romani, Iudea-Palaestina. Maps and Gazetteer, Jerusalem, 1994, 125.

4 Y. Tsafrir, L. Di Segni, J. Green, Tabula Imperii Romani, 125.

თუ ეს ვარაუდი სიმართლესთან ახლოს არის, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ პალეტინაში ერთ-ერთი ქართული მონასტრის სახელი – „დერტავიც“ კომპოზიტს წარმოადგენს, არაბული Dār, Deir-ის და არამეული tav-ისაგან შედგენილს, რაც უნდა ნიშნავდეს წმიდა (კურთხეულ) მონასტერს.⁵

ახლა, რაც შეეხება მეორე ვარაუდს:

ესაა არამეული Phurta – მცირე, პატარა ნაწილი (დიდიდან, მოელიდან გამოყოფილი მცირე).

ეს სიტყვა ვერ დავადასტურე ბიბლიაში. თუ ამ არამ. სიტყვას – Phurta-ს დავუშვებო ქართული „ფურტავის“ წყაროდ, მაშინ ქართული „ფურტავი“, არამ. Phurta-დან მომდინარე, უნდა ნიშნავდეს პატარა, მცირე მონასტერს, რომელიც რომელიდაც დიდისაგან იყო გამოყოფილი ცალკე ერთეულად. აქედან კი „ფურტაველის“ მიღება ქართულისათვის ძალზე მარტივია. თუ მონასტერს ერქვა „ფურტა“, მაშინ მისი ეპისკოპოსი იქნებოდა ფურტა-ელი ეპისკოპოსი, სადაც ბოლოკოდურ ა-სა და ელ სუფიქსს შორის ქართულის ნიადაგზე ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს ვ-ინი, რის შედეგადაც ვიდებთ „ფურტაველ“ ეპისკოპოსს.

უთუოდ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ Furt (Frt) ძირით ნაწარმოები ტოპონიმიც დადასტურებულია პალესტინაში (იხ. Furt).⁷

თუ ეს ვარაუდი მისადებია, მაშინ ასევე შეიძლება იყოს ნაწარმოები ერთი ბიზანტიური მონასტრის ბერძნული სახელწოდება „კატამონი“; ბერძ. κατά-μιού-დან იმავე მნიშვნელობით – გამოყოფილი, ინდივიდუალური ერთეული, ე. ი. პატარა მონასტერი.⁸ გარკვეულ პერიოდში ეს მონასტერიც ქართველებს ეკუთვნოდათ,⁹ დღეს კი იგი იერუსალიმის ბერძნული

5 ელ. მეტრეველი, დერტავისა და დერტუფას ხელნაწერების ორგვლივ, 74-78.

6 A. Even-Shoshan, Explanatory Dictionary.

7 Y. Tsafrir, L. Di Segni, J. Green, Tabula Imperii Romani, 125.

8 D.D. Lampe, A Patristic Greek Lexicon.

9 ელ. მეტრეველი, მასალები, 89. Johannes Pahlitzsch, Die Bedeutung Jerusalems für das Königtum und Kirche in Georgien zur Zeit der Kreuzzüge im Vergleich zu Armenien. – L’idea di Gerusalémme nella spiritualità Cristiana del medioevo, Città del Vaticano, 2003, 104-131.

საპატრიარქოს კუთვნილებაა.

„კატამონის“ სახელწოდებასთან დაკავშირებით შეიძლება საინტერესო იუოს იმის აღნიშვნაც, რომ ეს მონასტერი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის დაქვემდებარებაში იყო წმ. ნიკოლოზის მონასტერთან ერთად (ეს უკანასკნელი წმ. ჯვრის მონასტრის მახლობლად მდებარეობდა და დღეს სავსებით განადგურებულია).¹ სამივე მონასტერი ერთმანეთთან 4–5 კმ-ის რადიუსის ფარგლებში მდებარეობდა და მართლაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კატამონის“ ეს სახელი დარქმეოდა, როგორც წმ. ჯვრის მონასტრის დაქვემდებარებაში მყოფ მცირე ერთეულს.


ვფიქრობ, ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ „ფურტავთან“ დაკავშირებითაც. ეს ახლად აღმოჩენილი მონასტერი, ფაქტობრივად, პეტრე იბერის ორ მონასტერს შორის (ერთი – დაგითის კოშკ-


თან, იაფოს კარიბჭესთან, მეორე კი – ბირელ-კატში) მდებარეობს, დაახლ. 4–5 კმ-ის რადიუსით და იქნებ, ისიც პეტრე იბერის მონასტრის განშტოებას წარმოადგენდა და ამიტომაც დაერქვა მას ეს სახელი.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ფურტაველი ეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ერთი მონასტრის ეპისკოპოსია, ისევე როგორც ზემოხსენებული სამუელ ეპისკოპოსი (რაც, ჩემი ვარაუდით, ამ პერიოდის პალესტინისათვის გამონაკლისს არ წარმოადგენს).

დაბოლოს, ჩემ მიერ განხილული თითოეული ვარიანტი, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდების დონეზე რჩება და, რათქმა უნდა, შორს არის კონკრეტული დასკვნებისაგან. მაგრამ უმდეიზონში გათხრების გაგრძელების შემთხვევაში, იმედი მაქვს, ჩემს მსჯელობას უთუოდ უფრო მყარი საფუძველი მიეცემა.

1 ელ. მეტრეველი, მასალები, 145.





ქათოლიკ

**რომის ბაზის იოანე-ზავლე Ⅱ და სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია Ⅱ
შეხვედრა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის
წარმომადგენლებთან 1999 წლის 9 ნოემბერს**

აგადებიკოს თამაზ გამერელიძის გამოსვლა

თქვენთ აღმატებულებავ ბატონო ბრეზიდენტო,
თქვენთ უწმიდესობავ და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქი,
ქალბატონებო, ბატონებო!

დღეს მთელი განათლებული ქართველი სახოგადოებრიობა უდიდესი
მოწიწებით ეგებება ჩვენი საუკუნის გამორჩეულ მოდგაწეს, ვატიკანის ქალაქ-
სახელმწიფოს სუვერენის, სრულიად გათოლიკური ეკლესიის ბირველმსახურის,
მის უწმიდესობას რომის ბაზის იოანე-ზავლე მეორეს.

ქრისტიანობის მესამე ათასწლეულის მიჯნაზე ქრისტიანული ქვეყნების
მონასტულება სარწმუნოების უმაღლეს მსახურთა მიერ ჩვენი რწმენის მრავალ-
საუკუნოგან ისტორიაში განსაკუთრებული ღირებულების მოვლენად უნდა
ჩაითვალოს, რასაც არა მხოლოდ და არა იმდენად წმინდა კონფესიური, რამ-
დენადაც უდიდესი სახოგადოებრივ-ზოლიტიკური და ღრმა კულტურულ-ის-
ტორიული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი საუკუნის დამლევს ქართველობა ზეიმით აღნიშნავს საქართველოს
სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს. ამავე დროს, ჩვენ, ქართველები, უძვე-
ლესი ქრისტიანული ერი ვართ, წარმომადგენლები აღმოსავლური – მართლ-
მადიდებლური – ქრისტიანობისა.

აღმოსავლური ქრისტიანობა, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან,
სასიათდებოდა იმით, რომ იგი ქრისტიანობას თავიდანვე ავრცელებდა ადგილო-
ბრივი, ერთვნული ენებისა და კულტურების საფუძვლზე.

ამ მოვლენამ გამოიწვია ის, რომ აღმოსავლურ კულტურულ არეალში
ქრისტიანობის მიღებისთან ერთად იმთავითებები იწყებოდა საღმრთო წიგნების
თარგმნა და დათისმსახურება ერთვნულ, მშობლიურ ენებზე. სწორედ ეს იქმ
აღმოსავლურ ქრისტიანობაში ერთვნებისა და ერთვნული კულტურების ჩამო-
ქალიბების განმსაზღვრელი ფაქტორი.

შეა საუკუნეების ჩვენი დიდი მწერლისა და მთღვაწის გიორგი მერჩულეს
თქმით: „ქართლად ფრიადი ქუექნად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართუ-
ლითა ენითა ქამი შეიწირვის და ლოცვად უკველი აღდერულების“. ეს პრინციპი
ჩვენს ქვექნაში ქრისტიანობის მიღების ბირველსავე საუკუნეებიდან მოქმედე-
ბა და წარმართავდა და განსაზღვრავდა მთელს ჩვენს სულიერ არსებობასა და
ერთვიულებას.

ამისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა დასავლურ კულტურულ არეალში
გრცელდებოდა მირითადად ლათინური ენის საფუძველზე, საღმრთო წიგნების
ადგილობრივ, ერთვნულ ენებზე გადატანისა და თარგმანების გარეშე.

პრინციპი საუკლესიო მსახურებისა და წირვა-ლოცვის ერთვნულ ენებზე

ჩატარებისა კათოლიკურ სამეაროში, როგორც ცნობილია, მხოლოდ მოგვიანებით განხორციელდა და ამის უპირველესი გამტარებელი დღეს მისი უწმიდესობა რომის ჰაბიტუაციის მეთვე ბრძანდება, რომელიც მრავალუნივერსიტეტის განსაცვიფრებელ მაგალითს გვიჩვენებს და ღვთისმსახურების თითქმის ეველა იმ სალხთა ენტზე ატარებს, რომელთაც იგი უმაღლესი სამხარეობო მისით ეწვევა.

საქართველომიც, ჩვენს საზოგადოებასაც მისმა უწმიდესობაშ ქართულად მიმართა და მოუწოდა ეველა ქრისტიან მშვიდობის, მმობისა და კაცომოუკარეობისაკენ.

ეს უძღვლესი ჰუმანური მისია, რასაც მისი უწმიდესობა ითანებავლე Ⅱ ასე წარმატებით ახორციელებს მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით გასაგებია ჩვენთვის დღეს, ჩვენს უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში – საქართველოში – და მთელს კავკასიაში.

სწორედ აქ საქართველოს შრეზიდენტმა ეფუარდ შევარდნაძემ წამოაუენა „მშვიდობანი კავკასიის“ იდგა, იდგა კულტურითა და ტივილიზაციათა დიალოგისა და თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც დაუშირისპირდა დასავლეთში ფართოდ გაგრცელებულ კონცეფციას „რიგილიზაციათა შეტაკების“ «clash of civilizations» შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის კავკასიაშიც.

გამოვთქმამთ რწმენას, რომ მისი უწმიდესობის, რომის ჰაბიტუაციის ითანებავლე Ⅲ კინიტი საქართველოში კიდევ უყრო შეუწეობს სელს კავკასიაში ამგარი დიალოგის წარმართვასა და თანამშრომლობას სხვადასხვა წიგილიზაციასა და სარწმუნოებას შორის; ჩვენი ქვეყანა სომ ქოველობის გამოირჩეოდა განსაკუთრებული შემწენარებლობით განსხვავებული იღმისარებლობისა და რწმენის მიმართ.

თქვენთვის უწმიდესობაზ!

მე დავიწევ საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მთლიანობა სახელით ჩემი მისალმება აღმოსავლეური ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს – ქართულ – ენაზე და მინდა დავამთავრო იგი დასავლეური ქრისტიანობისა და კათოლიკური კულტების უძველესი კანონიკური, დათინური ენით:

Hodierno die, quo adventus Vestrae Sanctitatis in terram nostram solemniter celebratur, Vestram Sanctitatem et omnes hospites, qui Vobiscum venerunt, ut patriam nostram honorarent, toto pectore salutamus et vobis gratias maximas agimus.

Patria nostra, hic locus antiquae Christianorum ecclesiae, semper culturae atque religionum variarum domicilium firmum erat et in postero tempore similiter, precibus Vestris, crescat, floreat et ad bonos successus luceat.

Salutatio Vestra in hac terra in cordibus nostris permanebit in aeternum et in saecula saeculorum.


Maximas gratias.

„დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენ საზეიმო ვითარებაში აღვნიშნავთ თქვენი უწმიდესობის ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანებას, გულითადად მივესალმებით თქვენს უწმიდესობას და ეველა თქვენთან ერთად ჩამობრძანებულ სტუმარს, რომელიც ჰაბიტუაციას მიაგებენ ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი სამშობლო, ქრისტიანობის ეს უძველესი სავანე, მეტავანე იურეარი ადგილსამეოფელი სხვადასხვა კულტურებისა და სარწმუნოებათა; დევი, მომავალმიც, თქვენის ლოცვა-კურთხევით, იგი ასევე გამლიერებულიერს და აუვავებულიერს კეთილი საქმეებისათვის გზის საჩვენებლად.

თქვენი ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანება მარად დარჩება მოსაგონრად ჩვენს გულებში.

უღრმეს მაღლობას მოგახსენებით“.





**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების შეხვედრა
ილია II-სთან სამების საკათედრო ტაძარში**

(სტენოგრაფიული ჩანაწერი)

2007 წლის 30 იანვარი

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი ილია II**

ეთვლად სამდგენელონთ მდგდელმთავარნო,
ოქვენო აღმატებულებავ ბატონო ჰრეზიდენტო,
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებო და წევრ-კორესპონდენტებო,
ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს არის განსაკუთრებული და ისტორიული დღე, როცა საქართველოს სამოციქულო ეკლესია მასპინძლობს ჩვენს გამოჩენილ და ერის წინაშე დამ-სახურებულ ხალხს აქ, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საგანეძი.

რწმენა, სარწმუნოება და მეცნიერება ეს არის ორი ძალა, რომელმაც მოგვიუგანა ჩვენ დღემდე, რომელმაც გადაარჩინა ქართველი ერი. მე მო-გქსალმებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით და ბირნადად ჩემი სახელით. თქვენი დამსახურება მეტად დიდია. ჩვენ გამოვიარეთ დიდი

განსაცდელი. იქთ დრო, როცა ტოტალიტარული რეჟიმი უვალაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაეთიშათ ექლესია და ქართველი ხალხი, ცოდნისა და რწმენის მქონე ადამიანები, მაგრამ ჩვენ მუდამ გვასხოვდა და გვასხოვს ჩვენი წინაპრების ლოცვა-კურთხევა და ჩვენი წინაპრების ეროვნული იდეა. როცა ქმნიდა დავით აღმაშენებელი გელათის აკადემიას, მან დასახა გეგმა, რომ ის უნდა ეოფილი ასალი იერუსალიმი და მეორე ათინა. იერუსალიმი თავისი რწმენით და თავისი სულიერებით, მადალი დვთისმეტებელით, და მეორე ათინა – თავისი დიდი მეცნიერებით.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ რწმენასა და ცოდნას შორის ურთიერთობის საკითხი უძველესი საკითხია, ჯერ კიდევ ზირგელ-მეორე საუკუნეებში იდგა ეს საკითხი – რომელია ზირგელადი, რწმენა თუ ცოდნა. დიდი ფილოსოფისი, ალექსანდრიის სკოლის დიდი მოღვაწე კლიმენტი ალექსანდრიელი თავის შრომაში ამბობს, რომ აუცილებელია რწმენაც და ცოდნაც, მაგრამ ზირგელადი არის რწმენა და რწმენაზე დაფუძნებული უნდა იქმოს მეცნიერება. შესანიშნავ დასკვნას აკეთებს კლიმენტი ალექსანდრიელი, რომ მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა დვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული, მცოდნე ადამიანი არის მეგობარი დვთისა, ე. ი. კლიმენტი ალექსანდრიელი გვისახავს კიბეს, რაზეც უნდა ავიდეს მონა დვთისა. ეს არის სრულეოფის კიბე. ჩვენ უნდა გვასხოვდეს, რომ თვით უფალმა იქსოჭისტებ ბრძანა – „იყავით სრულეოფილნი, ვითარცა მამათქვენი სრულეოფილ არს“. ეს არის დაუსრულებელი განვითარების პროცესი და აი, დღეს ჩვენ შევძლით ის, რაც ვერ მოხდა წარსული, უფრო სწორედ, რასაც ეღობებოდა იდეოლოგია. დღეს ჩვენ შევხვდით ამ წმიდა სავანები, წმიდა სამების ასალ-გაზრდულ ცენტრში.

მე კიდევ ერთხელ მოგეხსალმებით უველას, გამოვთქვამ ჩვენს დიდ სისარულს თქვენი მობრძანებით და მე მინდა ვთქვა, რომ მრავალი შრობლება დგას დღეს საქართველოს წინაშე და ეს უნდა გაადაგწევიტოთ ერთად, მთელმა ერმა ხელისუფლებასთან ერთად. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენს ახალგაზრდობას სახელმწიფოებრივი აზროვნება, ჩვენ უნდა გვასხოვდეს, რომ პასუხისმგებელი ვართ დვთის წინაშე და ჩვენი სამშობლოს წინაშე. ჩვენი ერი დიდად აუასებს თქვენს დგაწლს და მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა აღინიშნოს და თქვენი სახელმები და გვარები აქრთს ასოებით უნდა აღიბეჭდოს ჩვენს ისტორიაში და თვით აკადემიის გედღებზე.

დმერთმა დაგლოცოთ, გაგამლიეროთ, ბევრი სიკეთე გაგაკეთებინოთ ჩვენი ერის საქეთილდღეოდ და მე მინდა ვთხოვთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამურელიმეს თქვას თავისი სიტუაცია.

აკად. ო. გამყრელიძე

თქვენთ უწმიდესობავ, მვირფასო კოლეგებთ,

დღევანდელი დღე შევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიაში როგორც უმნიშვნელოვანესი დღე; დღე, რომელიც აჩვენებს, თუ რა კავშირია ცოდნასა და რწმენას შორის. მე მინდა დავიწეო ზუსტად იმით, რითაც თქვენ დაამთავრეთ, თქვენთ უწმიდესობავ – ეს არის ურთიერთობა მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის, ურთიერთობა ცოდნასა და რწმენას შორის.

დღეს მე მინდა გადმოცეთ თქვენ, თქვენთ უწმიდესობავ, ხატი, რომელიც შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. ეს ხატი ეკუთვნის აკადემიკოს თენის სანამეს. აქ არის გამოსახული დავით აღმაშენებელი გერლათით ხელში და წმინდანები, მათ შორის ილია მართალი – ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თავაიშვილი, ჩვენი დიდი მთვარეები, ჩვენი დიდი მეცნიერები.

აკადემიის მიერ მორთმეულ ხატზე გამოსახულება არ არის შემთხვევითი: დავით აღმაშენებელი ტაძრით ხელში არის ემბლემა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა. ეს არის ხაზგასმა იმისა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის მემკვიდრე ძეგლი ქართული აკადემიებისა, უზირველეს ერვლისა, გელათის აკადემიისა, რომელიც დაფუძნებულ იქნა დავით აღმაშენებლის მიერ. მეფე დავითი იქო არა მსოლოდ მეფე-აღმაშენებელი, ის იქო მეფე-განმანათლებელი, რომელმაც დააფუძნა, დააარსა უმეცენესი ქართული აკადემიები, მათ შორის გელათის აკადემია, ტაძრად სწავლულებისა, სხვად ათინად და მეორე იერუსალიმად, ე. ი. იმდროინდელი საერთაშორისო მეცნიერების ცენტრად, რომელსაც ათენი წარმოადგენდა, და სულიერების საერთაშორისო ცენტრად, რომელსაც იერუსალიმი – „იერუბლაიმი“ წარმოადგენდა. სწორედ ამ ტრადიციების გამგრძელებელი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შემთხვევითი არ არის ის, რომ იგანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის გახსნა, პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნა დავით აღმაშენებლის ხელში დღეს (26 იანვარი – 8 თებერვალი) დაამთხვია. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართული უნივერსიტეტი იქო მემკვიდრე გელათის აკადემიისა, ქართული უნივერსიტეტი, სადაც ჩამოვალიბდა საქვემდებრო ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები – მათემატიკური სკოლა, ფიზიოლოგიური სკოლა, ქართული საენათმეცნიერო სკოლა, ქართული ხელოვნებათმცოდნებია, საქვემდებრო ცნობილი სააღმო-სავლეომცოდნებო სკოლა და მრავალი სხვა ქართული სამეცნიერო სკოლა... უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა მოგვიანებით საფუძველი ჩაუქარეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც დღეს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ეწოდება. სწორედ აქ, აგანდემის წიაღმი განვითარდა ქართული მეცნიერება, ქართული სამეცნიერო სკოლები.

მე აღვნიშვი, რომ აპთოეოსი ჩვენი დღევანდელი შეხვედრისა არის დემონსტრირება ცოდნისა და რწმენის ურთიერთობისა. მოგეხსენებათ, მვირფასო კოლეგებთ, რომ დღევანდელი მეცნიერების ერთ-ერთი ურთულები პრობლემა არის გარევა ცოდნისა და რწმენის ურთიერთობისა. უდიდესი მთაჭროვნები, მათ შორის უდიდესი ბუნებისმეტეველი, ღრმად მორწმუნე ადამიანები იქნენ;

მაქს ბლანკი, ალბერტ აინშტაინი, დდეს გთხოვთნიის უდიდესი წარმომადგენელი სტივენ ჰოკინგი და მრავალი სხვა ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ და არიან; ისინი თვლიან, რომ ცოდნა და ოწმენა, მეცნიერება და სარწმუნოება კი არ გამორიცხავენ, არამედ აფხებენ ერთმანეთს. ეს არის თრი მხარე საერთო ფენომენისა, საერთო მოვლენისა, რომ ადამიანი და სამუარო შეიწობა სწორედ აი ამ თრი სფეროს გაერთიანებით; ისინი „დამატებითნი“ არიან ერთმანეთის მიმართ ადამიანისა და სამუაროს შემცნებაში („დამატებითობის“ ნილს ბორისეული გაგებით). აი, ეს არის, მე მგონი, უველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი დღვევანდელ მეცნიერებაში და, ალბათ, ამ პრინციპს უნდა ახორციელებდეს მეცნიერული კვლევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

თქვენთ უწმიდესობავ! თქვენ, თქვენი პიროვნებით განასახიერებთ სწორედ ამ შერწყმას ცოდნისა და რწმენისას და ეს იქმ საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აგადებიამ ერთსულოვნად აგილჩიათ თქვენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად – საპატიო აკადემიკოსად. ასეთი ფაქტი მეტად იშვიათია თანამედროვე სამუაროში, თანამედროვე მეცნიერებაში; სულ რამდენიმე მსოფლიო აკადემია შეიძლება იქნეს დასახელებული და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ამაუკის იმით, რომ ერთ-ერთი პირებითი მათ შორის, საბაც ქვეუნის კათოლიკოს-პატრიარქი, ერის სულიერი მამა და უმაღლესი რანგის სასულიერო პირი არჩეულია ამავე დროს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

დდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ცნობილი რეფორმების შედეგად გარდაიქმნა იმ მიმართულებით, რომ მეცნიერებათა აკადემიას გამოეკი კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც გახდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამდენად, ისინი დამოუკიდებელი გახდნენ და დაუკავშირდნენ სხვადასხვა დაწესებულებას, ძირითადად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დღვევანდელი ფუნქცია არის კოორდინაცია მეცნიერული მუშაობისა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და კვლევითი ინსტიტუტები, კვლევითი დაწესებულებები ანგარიშებალდებული არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე მეცნიერული თვალსაზრისით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ამჟამად არის უმაღლესი სამეცნიერო ორგანო, მრჩეველი ხელისუფლებისა მეცნიერების საკითხებში და კოორდინატორი მთელი სამეცნიერო მუშაობისა. მე იმედი მაქს, რომ ჩვენ გაგავრებულებთ საქმიანობას ამ მიმართულებით და ეს არის საწინდარი იმისა, რომ ქართული მეცნიერება, ქართული სამეცნიერო სკოლები კიდევ უფრო განვითარდება და ასაღ სიმაღლეებს მიაღწევს. ინსტიტუტების ნაცვლად ჩვენ აკადემიის სისტემში ვაულიბებთ სამეცნიერო კომისიებს, რომლებიც გაუძლებებიან სამეცნიერო კვლევა-მიებას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით... ერთ-ერთი ასეთი კომისია უკვე არსებობს, ჯერჯერობით უველა კომისია არ არის სამოუალიბებული, მაგრამ უკვე არსებობს რამდენიმე კომისია, რომლებიც მეტად ნაუთიერად და შედეგიანად მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი კომისია გახ-

